


59572
1899

№ III



ԱՐԵՎԱԿԱՆ




Հայութեան

1899 Հ Ա Ր Ա Ն

ულრნალ „ჯეჭილისა“

I. ჩვენი ციცა ლექსი—შ. მდგმელისა	3
II მრავალწამებული იობი—ილ. ფ—ძისა	4
III ცირცელი ამბავი—თედ. რაზიკაშვილისა	8
IV გაზაფხულის მოლოდინი ლექსი—თეოფ. განდევავისა	19
V ნელლო და პატრაში (მოთ. უილისა) თარ.—ელ. წერეთლისა .	21
VI პატარა მემუსიკენი ფრანგულიდან —ეპ. მი—სა	34
VII მოხუცის სიმღერა (მიბაძეა) ილ. ფ—ძისა	38
VIII ახალი თეზეოსი (შემდეგი) —ეპ. მ—სა	40
IX მლოცვავი კალია—ილიკოსი	46
X ძევლი საბერძნეთი (შემდეგი) თარგმნი—კოტესი	49
XI კოპერნიკის ცხოვრება—განხსი	55
XII ზარმაცი—ამბავი—თან—ენ გან—ინისა	59
XIII მელია და კაკაბი (არაკი გაკონილი ჯავახეთში)—ილიგოსი .	60
XIV წერილმანი: აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, ეპიტეზისი, შარადა რებუსი და სხვა	61

სამოცილებელ
გეგმული მუსიკის



ს ი ჟ მ ა ფ ვ ი ლ მ ნ ა ხ ა ტ ი გ ი ა ნ ი

ქ უ რ ნ ა ლ ი

„ზარდე, მწვანე ჯეჯილო.
დაპერდი, გახდი ყანაო!..

ღ. ღ.

№ III


„ ჟ ე ლ ი ფ ა დ ი მ ე ა თ ე შ ე რ ს

ტ ვ ი ლ ი ს ი

ს ტ ა მ ბ ა ა. ღ. რ თ უ ა ნ ც ი ს ა || თ ი ს. მ. დ. რ თ ი ს ა ნ ც ა . გ ი ს . ი ს . № 41.
1899.



Дозволено цензурою Тифлисъ, 11-го Марта 1899 года.



କଥାବିଲି.

ବୟୁଧନେ ପ୍ରିୟନାଥ ଯେବା ନାହାଵତ
 ଫଳିସିତ ତାଗ୍ରତ୍ତେ ମନ୍ଦାଧିର୍କେ,
 ଶ୍ରୀଷ୍ଟ ଏରତତାବାହ ତ୍ରାକ୍ରତ୍ତେ ଗଢିବା,
 ଏଣ ଗାସପ୍ରଦେହା ଶାକଳିସ ଧିର୍କେ।

ଶାନ ଶିଳ୍ପ ପଦାନ୍ତି ତାତେବିତା,
 ଶାନ ଶୁଣଗାଶ୍ରେଷ୍ଠ ଗାଇଶ୍ରୀଷର୍କେ,
 ଶାନ ମନ୍ଦଶ୍ରେଷ୍ଠିନ୍ଦି ଶାଶ୍ଵିଲ୍ଲେତା
 ଶାଲ୍ଲାଶ୍ରେଷ୍ଠ ଏବଂ ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗିଷ ଧରନ୍ଦ୍ରେ।

ରଙ୍ଗପା ପିନ୍ଧି ପ୍ରିୟନାଥେତି
 ଗାଧାଏକ୍ଷରିଷ ପାଇ ଏବଂ କମ୍ପେଲ୍ଲେତି,
 ଶାନାଧିରିଷ ଏମିଶାଫ୍ରେହା
 ଏବଂ ତାଗ୍ରପା ଗ୍ରହିଷ ଏଲ୍ଲେତ-ମ୍ରେଲ୍ଲେତି!
 ମଞ୍ଜୁମଞ୍ଜୁତ୍ତେଲା ନେଲା-ନେଲା
 ଏହା-ଏହା ଦାଶ୍ରୀନ୍ଦ୍ରାଶ୍ରେଷ୍ଠ,

ଶାଶ୍ଵିଲ୍ଲାକରିତାରେ
 ଶାଶ୍ଵିଲ୍ଲାକରିତାରେ
 ଶାଶ୍ଵିଲ୍ଲାକରିତାରେ
 ଶାଶ୍ଵିଲ୍ଲାକରିତାରେ



ତଣୁ ରାମ୍ଭେ କୋମା ଶେମଙ୍ଗେଶମା,
ଗାହେରଦେବା, ଅୟତ୍ନାଗ୍ରେ ଯୁଣରେବ୍ସ.

ନାହାଗ୍ରେ ତବେଲ୍ଲେବ୍ସ, ମାଗରାମ କରିଷ୍ଯୁଲ୍ଲେବ୍ସ
ଶମାକୁରାତ ଅତିରିଳ୍ଲେବ୍ସ,
ଲ୍ଲେଶାଗ୍ରେ କବିଲ୍ଲେବ୍ସ, ନେମ୍ବେବଳ ଚିତ୍ତରିଲ୍ଲେବ୍ସ,
କୁଳ୍ଲେ ଶିବାମିତ ଅପାନପାଲ୍ଲେବ୍ସ.

ଗାନ୍ଧା କୁମିଳା, ଏବେ ବ୍ୟାଖ୍ୟାନି?
ନାଧିକରନ୍ତା ନାଥେବା.

ଶଲ୍ଲେତ୍ରାଗ୍ରେ ତାଗ୍ରେବ୍ସ ଶିନ ଫା ଗାର୍ବେତ,
କାନ୍ଦଗାନ ମନ୍ଦାକ୍ଷତ ଫିଲ୍ଦି ବ୍ରନ୍ଦେବା.

ଶ. ପ୍ରଦୀପିନ୍ଦୀ.



მრავალწამებული იობი.



ისო მაცხოვრის დაბადებამდის.

ამათმთავრის აბრაამის დროს, არაბეთში ცხოვრებდა ქრისტიანები, მოწიალე და მდიდარი კაცი, რომელსაც სახელთ იობი ერქვა. ლმერთი სელს უმართავდა მას ცხოვრებაში; ის ბედნიერებით ტკბებოდა: იმას ჰეთი შვიდი ვაჟი და სამი ქალი; შვილები ერთმანეთში დიდი სიუგარულით ცხოვრობდნენ და თანაც გულმხერვალეთ უევარდათ თვისი კეთილდ მამა. ბოროტ სულს შემურდა იობის სიკეთე, მისი ბედნიერება და ლმერთთან დაბეზღდა იგი. — „იობი იძირომ არის კეთილი და ჰატიოსანი, რომ შენ სწავლობ მას. აბა წართვი ეოველივე, რაც რამ აბადი, თუ იმან შენ არ უარვეთს! აბა გამოსცადე!“ — უთხრი მას ბოროტმა სულმა.

ლმერთმა მოისურვა, რომ იობს დაემტკიცებია ხალხისთვის თვისი დვთის მოუგარეობა, სიკეთე და სიმართლე და ამისთვის ნება მისცა ბოროტ სულს ისე მოქცეოდა იობს, როგორც მას (ბოროტს სულს) უნდოდა. ერთ დღეს იობი თავის სახლში იქო მარტოთ-მარტო; იმისი შვილები კი დროს ატარებდნენ თავის უფროს შმასთან და სრულიდაც არ მოელოდენ უბედურ მომავალს. სწორეთ

ამ დროს მოულოდნელათ იობს თავს დაატედა დიდი უბე-
დურება: იმის უფალავ ჯოგს და მწევესებს თავს და-
ესხენ ავაზაკები; ჯოგი წაასხეს და მწევესები დახოცეს;
ამასთანავე საშინელმა ქარიშხალმა დაანგრია ის სახლი,
რომელმაც ისი შეილები მხიარულობდება, და მისი ათი-
ვე შეილი დაიხოცა სახლის ნანგრევებს მორის.

იობ მართალმა ეს უოგელივე მეიტეო, მაგრმ სასო-
წარკვეთილებაში არ ჩავარდა, ცრემლის ერთი წვეთიც არ
დაუქცევია. ის პირქვე დაემხო მიწას და წარმოთქვა:
„მიმველი დავიბადე, მიშველივე მოვკვდები! უფალმა მო-
მცა და უფალმა უკანვე მიღო! იუს კურთხეულ მისი
სახელი!“.

ბოროტება სულმა დაინახა, რომ ამ საშინელმა განსა-
ცდელმა ვერ შეარყია იობის დვთის-მოუვარეობა და ხელ-
მეორეთ უთხრა დმერთსა: — „იობი თვითონ ჯანსაღი და
მრთელია... ჯანსაღი და მრთელი კაცისთვის დასაკლისი
და მწუხარება არაა უკრეთ შესაზარალებელი. აბა გახადე
იობი ავათ, თუ იმან არ უარევს შენ!“.

დმერთმა ნება მისწა ბოროტე სულს ეს განსაცდელიც
მიეკუნებინა იობისთვის; საშინელი კეოროვანება (სხეულის
განის დამუწუკება და სიღამპლე) დაემზრთა იობ მართალს.
უკელამ მიატოვა იობი, დაავდო იგი უნუგემოთ, უშემ-
წეოთ...

იობი სოფლის გარე გადავდებულ იქმნა, რადგან უვე-

ლას ეძინოდა იმ სწეულებისა, რომ ითაც ის იტანჯი-
ბოდა. მარტო სამმა მეგობარმა არ დაიკიტეა იგი, ისინი
მოვიდენ მასთან და შეძინდენ, რა დაინახეს დაწელულებუ-
ლი მისი სხეული, იობის ცოლი კი მოთმინებას მოკლე-
ბული, აუკედრიდა ქმარს სარწმუნოებას და კეთილ-მსახუ-
რებას, რამაც ის ვერ დაიფარა მწუხარებისა და უბედუ-
რებისაგან. იობი მშვიდათ ეუბნებოდა თავის ცოლს:
„მენ ისე ლაპარაკობ, როგორც უგუნური. თუ ჩვენ მი-
ვიღეთ ღვთისაგან ბედნიერება, ნუ თუ უბედურებაც არ
უნდა მოვითმინოთო?“. ესრეთ, მიუხედვათ საშინელი ტან-
ჯისა, იობ მართალმა არ უარყეო დმერი; ის აღიდებ-
და და მადლობდა მას მაშინაც კი, როდესაც მისი სხეუ-
ლის წელულს მატლი ესეოდა და ცოცხალ-მკვდარი სწეუ-
ლიდა თვისი დაბადების დღეს. დმერომა დააკილდოვა
მა რთალი იობი მოთმინებისათვის. ის სწეულებისგან მორ-
ჩა, და უფალმა უბოძა მას დიდი სიმდიდრე. მას გაუჩნ-
და ხელმეორეთ შეიდი გაუი და სამი ქალი და ამის შემ-
დებ იგი დიდ ხანს სცოცხლობდა ბედნიერებასა და კე-
თილ წარმატებაში.

ილ. ფ—ძ.





პ ი ტ ი ლ ი.

ამთრობითაც იქ იდგა და ზაფხულობითაც.
 თუმცა ზამთარში სასტიკი სიცივე ჰყინავდა
 და ზაფხულში სიცხისგან კლდეებში იხრავე-
 ბოდა, მაგრამ იმას მაინც მავრა ჩა-
 ვისი ფესვები სალი კლდისთვის და გულზე მიჰყრობოდა და ჩაჰკონე-
 ბიყო, როგორც შეილი დედას ეკერის ხოლმე და ძემუებში ეხუ-
 ტება.

ძალიან უყვარდა ცირცელს ¹⁾ თავისი მშობელი მთა; თვალ-
 ჩაუწიდომელი კლდეები, ჩამორეცხილ-ჩამოგლეჯილნი, რომელთაც
 აქა-იქა მიჰყრობოდა თითო ბრტყა ბალახი და ხავსი; უყვარდა ღრმა
 ხევები, ზამთარ-ზაფხულ ზვავით საესენი და მთებიდან ჩამოგორებუ-
 ლი მდუმარე ლოდები, მწვანე ხავს მოკიდებულნი.

ნეტა განა კიდე შეიძლებოდა იმაზე მეტი სიყვარული?! განა
 ვულში კიდევ დარჩებოდა ადგილი სხვა სიყვარულისთვის?

სულაც არა! მთაზე მეტათ არცარა უყვარდა-რა და არცა-
 რა ჰყარებია-რა.

ქარის კივილი, ნამქერის თეთრი ღრუბლები, მთების გუგუნი,
 კლდეებიდან ჩამოკიდებული უზარმაზარი ყინულის სვეტები, ზვავე-
 ბის ქუხილი და უძირო ხევებში ჩადენა—ცირცელისათვის დედის
 ნანა და და-ძეგებში ლხინი იყო.

როგორი სიყვარულით ჩასცეროდა ხოლმე, როცა ზამთრის
 ჭინვა იმის მეზობელ მთას ხეობაზე ჩამომყეფარ გიქმავ მღინარეს.

¹⁾ ცირცელი—რაბინა.

გაპყინავდა ხოლმე და ვეშაპიეით კლდიდან კლდეზე აკეცილ ჩაკე-
ცილს მზეზე ლაპლაპი გაპქონდა

გაზაფხულზე ხო ისევ ღნებოდა და წყალმომატებული დაიწყებ-
და ქოთობას და შხიეილს. ზაფხულში ჩარიალებდა წმინდა წყლიანი
და ზ.მთარში ყინულათ ქცეული მკვდარსაერთ უძრავათ იწვა.

— ოქვენ გენაცვალოთ ჩემი თავი, მთებო, თქვენა, თქვე ჩემი
სულის ჩამდგმელნო! განა ქვეყანაზე იქნება თქვენისთანა რამე კი-
დევა! შეპლალადებდა ირგვლივ მოჯარებულ მთებს ცირცელი.

— არა, ბრაწი? ²⁾ ჩენ სამშობლოს განა სჯობია კიდევ სხვა
ეისიმე მხარე? მითხარ მართალი, კკვიანი ხარ, გეცოდინება, ან გე-
ნახება, ან გავონილი გექნება. ათასი ფრინველი ბუდობს შენს ახლო-
მახლო. ეკითხებოდა ბრაწი ცირცელი.

— რა ვიცი, შენ გენაცვალოს ჩემი თვალები, შენ კარგათ მხე-
დავ, მე შეწე პატარა ვარ, სულ წელში მოღუნული და სევდიანი.
ხო იცი, მეც შენსაეით აქაურობას არ გაეცილებინარ, გაკონილიც
ზენ უფრო მეტი გექნება. მართალია, ჩემს ახლო კლდის ეხებში სვა-
ვები ბუდობენ, ბევრსაც რასმე ლაპარაკობენ შორეული ქვეყნებისას,
მაგრამ დაეჯერებათ იმათ რამე? იმათ ის მხარე უყვართ, სადაც ბევრი-
ლეშია და სადაც თავის გაუმაძლარ მუცლებს ლეშით გაიტენენ. აბა
იმათთანა ხალხს განა დაეჯერება რამე, რომელსაც თავისი სამშობ-
ლო არა აქვს? შე კარგო, შენ უფრო ხილს არ ისხამ, შენთან უფ-
რო ბევრნი არ მოდიან სტუმრათა!

— ჩემი ნაყოფის საჭმელათ სუ ჩეენი მთის შეილებიერ მოდიან,
ჩეენსაეით ისინიც არ გასცილებიან თავის მიწა-წყალს. აბა როჭის
განა წაიყვანს განმე მთიდან?! ისინიც სულ ჩეენი მთებისას მიამბო-

²⁾ ბრაწი — კლდის მწერარეა, უცვეთელასა ჭიათუ, იმის ტოტებისას
ფშავდები რის საწურავებს ჭირავენ.

ბენ, ჩეენ კლდეებს შესტრუიან და შეჭხარიან. ასე ჰეონიათ, ამას იქით ქვეყანა აღარ არისო.

— შენა, შალშაგო, ³⁾ შენ რალას იტყვი, მე გულჩათხრობილო, თვალშაგო? არ ინალელი, რომ მოგელაჯონ აქედან, შარის წაგილონ, თუნდა იქ ცხრა მზე იყოს და ცხრა მთვარე? არ მოგაგონ. დება ეს ჩეენი სამშობლო?

— ეჭ, მე ვინა მკითხავს, როცა მთიბელი ცელს მისვამს და ძირიანათ მტუსავს. ჩემი ფესვი რო ჩემ მშობელ მიწაში არა რჩებოდეს, მაშინ ხო ჩეენი გვარის სახსენებელი ამოგარდებოდა ქვეყანაზე. მე კი თუ არ ჩემი სამშობლო, სხვაგან ვერ ვიცოცხლებ და თქვენი კი არ ვიცი, ჩემო თვალის ჩინებო!

* * *

ამ დროს ქარი კი ჰქონდა და სისინებდა, თან მოპქონდა სვაეთა ყვიტყვიტი, არწიეთა ყეფა, შევადნის წიებილი და ორბების ფრთათა ტყლაშა-ტყლუში. ხან საამური სტენა ფრთოსანთა და ხან შეშინებული ჟივილ-ხიეილი. მოპქონდა წყაროთა ჩუხჩუხი და ტყის საამური შრიალი; კლდეთა ოხერა და ჩანჩქართა ჩამოხვივილი. მოპქონდა ყანებისა და შაბბ-ბალახის ბიბინი, ცელ-ნამგლის წკრიალი, ძალლების ყეფა და ცხერისა და მეცხვარის ხმაურობა და ფრიამული; ცხენების ნალის ხმა და მგზაურების უდარდელი ღილინი.

მოპქონდა შორეული სოფლებისა და ქალაქების ხმაურობა და განგაში, ალელვებული ზღვების ბობოქრობა და ქუჩილი. მოპქონდა ყოველივე ესა, უამბობდა გზა-გზა სულიერთა და უსულოთ და დაიხსომებდა-რა იმათ ნათქვაშაც — სიხარულს თუ მწუხარებას, ტირილს თუ სიცილს, მღერას, თუ კენესას, ჰკრებდა კვალწმინდათ და მიპქონდა ახლა სხვა ქვეყანაში და სხვა ერში და ახლა იქ უამბობდა უცხოთა უცხო ქვეყნის ამბებსა.

³⁾ შალშაგი — ცერნიკა — მთის მაღნარეა, სულ კრთი მტეშაველი იზრდება და ცეკვილ ნაყოფს ისხავს. მწიფე მწიფე პერინებს ჰგავს ფერით. მარწმინდაში მწიფდება. მარწმინდი ხელშის მარცხლის სისხლ აქვს.

ცირცელი კი უკრავდა თავს ქარსა და წელიდანვე იხრებოდა და იღრიყებოდა, თითქო მადლობას ეუბნება ქარს ამდენი ამბების-თვისაო. წითელი მტევნებიც შემოჰვევოდენ გარსა და ფუნჯებიით ჰქანაობდენ ქარის მოძერებაზე. იცნობდა ცირცელი ქარსა, არც ეშინოდა იმისა, არც უკვირდა იმისი ნამშობი, რადგან ბევრჯელ სმენოდა მისგან ეს ამბები.

იმისი წითელი მტევნები ბევრს ფრინველს იჩიდავდა თავისკენ, მაგრამ რაკი ჰავა ჰავდენ, რომ მკახე იყო და ჯერ არ იჭმეოდა, ისევ ანებებდენ თავს. იმათ მაგიერათ ახლა სხვანი მოფრანდებოდენ, ჩაუნისკარტებდენ ხოლმე წითელ მძიეს სისხო მარცვლებს და ისინიც თავს მიანებებდენ ხოლმე. მარტო მთიბელმა ფშაველმა იცოდა, როცა თვეებს დამზრდა მთაში, მტერევდა ტოტებიანათ და თავს გულში ატანდა. და ზამთარში, როცა ნაშალ თივაში იმისი მტევნები ამოჩნდებოდენ ხოლმე წითლათ ჩამკრახულები — ფერშეუცველელათ, პატარა ბიჭები ცას ეწეოდენ სიხარულით.

ხშირათ ფრაშერაშით თავს დასტრიალებდენ წეინტლიანი სვავები და იქვე ახლო-მახლო წიფლებზე და მუხებზე სხდებადენ.

— ცირცელი, ეუბნებოდა ჭვარტლიანი სეავი, რას ირთმევ ამ გაფხვილ მთაში სულს, ამ უსულო და უსუკუკხლო კლიეებს რას ჩასცივებიხარ. ზამთარში თოვლის შეტს ეერაფერსა ჰქედავ, ქარის გრიალის შეტი არა გესმისრა და ზეავთა ქუხილი და გუგუნი ძილს გიყრობს და ტანში გშლის. ან არ გეშინიან, მოზეავდეს კლდე, დაგვეცეს და დაგლეწოს, ან დაიძრას მთიდან ლალი ზეავი და დედა-მიწიდან აფრიკოს? რას ჰქედავ აქ საშურველსა? ახლა ბარა უნდა ჰნახო, რა დიდი სოფლებია და დიდი და მდიდარი ჭალაქებია, საყ-ლრებითა და სასახლეებით მორიაულ-აჭრელებულნი, რა მდორე და ღრმა მდინარეებია, ათასნაირი თევზით საესე, ნაე-ხომალდებით აჭ-რელებული და, რკინისა და ქიოტკირის ხილებით შემოსარტყლული! რა ბალ-ვერახებია ათას-ათირს ხილითა და ნაყოფით დაზნექილი და დატვირთული ხეებით საესენი. შენი ნაყოფი იმათთან რა გამოჩნდება!

აი ჩეენც მომეტებულათ სულ ბარათ არა უართ, მხოლოთ ზაფ-
ხულის სიცხეს გამოვექცევათ ხოლმე ამ შავსა და ბნელს კლდეებში-
უც, რამდენი საჭმელი ლეშია იქა! უც, რამდენია საჩეენცბილო!

ჭამა მაინც იცოდე ჩეენსაეით შე საწყალო, შენ ხომ აღარც
კი დაგვაცლიდი და პირველი დანებებდი ამ მთებსა და კლდეებს
თაესა. წახეილოდი და სხეებსაც გააბედვინებდი ბარათ ჩასვლასა. აი,
თუნდა ქუჩა. ცოდვა არ არის, რომ ამისთანა ქალრს თმასაეით და-
ვარცხნილი ქოჩოჩა ბალახი ვაკე მინდერებზე არა ბიბინებდეს!

— მართალია, მართალი! იქნევდა ასკილიგით თავს და კვერს
უკრავდა ტილიანი ძერაც.

— მართალს ამბობენ სყავები, ბურტყუნებდა ყაჯირი. ოლონდ
კარგათ ვიყვნეთ და სულ ერთი არ არის, გინდ მთა ყოფილა ჩემია
სამშობლო, გინდ ბარში ვყოფილები ეული!

— არ გაბრიყედე, უკეთურო, და არ დაუჯერო მაგ ქვეუჩის გამ-
ცემ იუდებს, მაკ წყეულ-შეჩეენებულ მაცდურებს, განა ჭკუათა მყო-
ფელი თავის სამშობლოს გასცელის რაზედმე. არ გაგიგონია ქართ-
ველთ ჩატეამი:

„არ გავცელო სალსა კლდეებსა უკედავებისა ხეზედა,

არ გავცელო შე ჩემს სამშობლოს, სხვა ქვეუჩის სამოთხეზედა“.
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედაო.

ესმოდა ღრუბლებზე ზემოდან ამაყათ მცურავი არწევის უფა.

— ძლიერო ღმერთო, დამიხსენ და დამიფარე განაცდელისა-
გან! ბუტბუტებდა ცირცელი.

— ეს ფუტკრები და ბუზები რაღას შემომბზუინ, ჩემს მეტი
ველარავინ დაინახეს ამ უსიერ მთაში?

შორიდან ისმოდა შურთხის სტენა, თითქო მეცხვარე ცხვრის
ფარას უსტვენდეს და ერეკებოდეს.

არყის ბჭყერიალა ზეთაან ფოთლებს ნიაგე გაპქონდათ შრია-
ლი, როგორც ყინვისგან დამზადი თოვლის ფიფქი შრიალებს.

ზოლმე, როცა ქარი უბერავს და ერთმანეთს აყრის შაქრის ფერფლსავით თეთრს და ბჭყერიალა ფიფქსა.

მუხება გაშეშებული იდგენ და ერთი ტოტი არ ინძრეოდა იმათ მძღავრ ტანზე.

ქვევით, მინდერათ, ქარზე ლელავდა თავდაწმენ დილი ყანები და რამდენათაც ყანა წევებოდა, იმდენათვე იზიქებოდა ქარიც წელში და, ადგებოდა რა ყანა, აიწვედა ქარიც, და წელში, ამართული თავ-თავინი ხელახლათ იღრეკდენ თავებს და წყობისათ აწყობდენ თავ-თავებს საომარათ მიტევებული მხედრობის შუბებსავით.

ჰედავდა რა ასა ცირცელი, გაშაგებით იმეორებდა გულში: — წყეული ვიყო და შეჩერებული, ოუ ჩემ მშობელ ქვეყანაზე კარგი მინდოდეს რამე!

* * *

ხოლო ცირცელის ბედი კ-ცმა სხეანაირათ გადაწყვეტა. დიდ ბალ-ვენახების პატრიონს, სხეა-და სხეა ნაირ მცენარეთა მოყვარულს კაცს გული შეუვარდა ცირცელზე და თქვა:

— მოვთხი ამ ცირცელს ამ მწირი ქვიშიდან და გადაერგავ ჩემ მსუქან და გაპოხიერებულ ბალში. იქ ალარც სიცრევე შეაწუხებს, ალარც უწყლოობა. მუდამ თვალს დავიჭირ და მოვუვლი.

მთის მძღავრი ზეავი ველარ გაქქელავს და ველარც კლდიდან ჩამოგორებული ლოდი დამტერევს და დალეწავს. ჩემი ვენახი შეღობილია მაღალი მესერით, რომელსაც ზემოდან ძეძეი ადევს.

იქ კაცის ფეხიც ვერ მიეკარება, განა თუ საქონელმა გაკვინიტოს, ან მშიერმა დათუნიამ დალეწოს.

მებალეც ბეჯითათ დაიჭირს თვალს, გასწმენდს და გაპოზექს, ჩმელ ტოტებს გაცლის და შემაწუხებელ ჭია-ლუებს გააყრეინებს.

იქნება ჩემს ბალში ცირცელი არხეინათ, დამშეიდებით და ბედნიერათ დაბერდება.

—

გაზაფხულის პარზე ცირცელის ფესვებთან ისმოდა წერაქვისა და ქარჩის კაჭაკუკი. წერაქვის წვეტი წვერა მაღიანათ ჰკმეჭდა კლდე-

სა და ლოდებს, ფშენიდა და ამოცქონდა ზევით. ცირცელის ფესვები თან-და-თან ტიტოლდებოდენ და, აქამდე მჩეოუნახავნი, ახლა მზის სტივებისგან იხრუკებოდენ და დაგებოდენ.

ცირცელი კრთოდა და კანკალებდა. ხოლო ქარჩი⁴⁾ და წე-
რაქე ერთმანეთის მემჯობრას ჰელენენ ბელტს, როკორც მგელი
გლეჯს მატყლიან ტყავს ცხერისას, აპობდენ კლდის გულს და ქე-
ბის ნატეხებს ქევითყენ მიაგორებდენ. კოხტა ლამაზი ქუჩი, რომე-
ლიც ცირცელის ფესვებთან იდგა, წერაქვის წვერმა მოვლიჯა და
უფსკრულში გადაუძახა.

— ვიღუპები, ვიღუპები! კვნესოდა ცირცელი; ჩემი მეშველი
აღარავინ არის.

რომელი ფესვეც ღრმათ იქო წასული, ჯიუტდებოდა და ხელს
არ ამოსდევდა, იმას სჭრიდენ და ათლიდენ.

ხოლო ცირცელი უფრო მეტათ კანკალებდა და თახთახებდა.

ტყუილი და იყო შიში. კაცი იმას თავს არ დაარებებდა.
რამდენსამე ხარს შემდეგ ცირცელს მთები და კლდეები შორს დარ-
ჩა. სამშობლო მხარე თვალთაგან მიეფარა და გძელ მინდორს
გაუდგა.

აქ აღარც კლდეები იყო, აღარც ღრიანცელები, არც მთიდ-
ან ჩამოგორებული ლოდები, არსად მყეირალი ხევები და მჩქეფარე-
ბინჩქარნი. უტყეო და გატიტოლებულ მინდორზე თავისშესაფარე-
ბელი არსად-რა იდგა.

მხოლოდ აქა-იქა შარშანდელი გამშარი ნარი ეხირა, რომე-
ლსაც მინდერის მძლავრი ქარი მიწაზე უხეოქებდა კომბალა თავე-
ბსა და ჭრელი ნიბლიები აქეთ-იქით ეხეოდენ და აწყდებოდენ,
ეგები ქარმა თესლები გააყრეინოს რამე და მშიერი მუცლები ამო-
ვივსოთო.

მიდიოდა ცირცელი გამენტარებულ-გაოგნებული, უკირდა,

⁴⁾ ქარჩი—ცალპირი წერაქვი, ბრიუჯი პირი აქვს.

რომ ისევ ცოცხალი იყო, რომ მაშინვე სული არ გასცივდა, რო-
გორც კი თავის სამშობლოს მოსწევიტეს, რატომ იქვე არ დაბრმა-
ვდა, როცა ვეღარ დაინახა თავისი მშობელი მხარე.

— ნუკეშინის მომცემელი ღმერთო, შენ მომხედვე მე უბე-
ღურსა, ნუ დამტოვებ უპატრონოთ ბერძენი და ოხერსა! ევეღრებო-
და ცირცელი ღმერთისა.

მაგრამ ცა ძალან მაღლა იყო და მისი ხმა კი სუსტი, რომ
ცისა და ქვეყნის მჟყრობელიმდე მიღწეულიყო. კაცები კი მიღია-
დენ და მიაქანებდნენ ცირცელს უცხო ქვეყნებისაკენ. ცირცელს თვა-
ლწინ სულ უცხო და უცხო სურათი ეშლებოდა.

აგერ გამოჩნდენ მრავალკომლიანნი სოფლები, ვენახებსა და
ბალებში ჩანთქულნი. აგერ მდორე და ზეირთ-მრავალნი მდინარე-
ნი, ზედ გადარკალული ქვითყირისა და რკინის ხილებით. აგერ უზარ-
მაზარი ქალაქები თეთრი საყიდებითა და ბჟუერიალა ვუმიათებითა!
და ცირცელს აგონდებოდა სვავებისგან ნათქვამი ბარის ქვეყნებზე.

— ეს თუა, სვავები რომ მიქებდენ. აქ თუ აქვთ სვავებს მუ-
ლარალი (თავსაყრელი) სასმელ-საჭმელი. აქ თუ მეპატიუებოდენ მე-
ცა. ფიქრობდა ცირცელი.

— პო ზა რით არის ნაკლები ეს ქვეყანა ჩემ სამშობლოზე-
დაო, გაივლო გულში,—მართლა და ჩემ სამშობლოს თუ არა სჯო-
ბია, არც ნაკლები ყოფილაო.

მაგრამ თეითონვე შერცეა თავისი ფიქრისა და შეეზარა.

— სწორეთ მე ჩემ სამშობლოში ყოფნის ღირსი არ ვიყავ და
ღმერთმაც იმიტომ დამსაჯა, იმიტომ მომიგლიჯა გულიდან ჩემმა
სამშობლომაც და აქეთ გამომტყორცნა, აბა თუ მოგწონს, იქ წაბ-
ძანდიო.

და გული ისეც წამებულ-დატანჯული ცირცელისა უფრო დაი-
წვა და დაისერა მწუხარებითა.

— მე ჩემ სამშობლოს ვეღარა ვნახავ, ღირსი არა ვარ იქ და-
ბრუნებისა, არა! ბუტბუტებია საცოდავი.

**

— გამარჯვება შენი, ცირცელო! გამოეხმაურია ახლათ დარგულ ცირცელს ზღმარტლი. სხვა, როგორ მოვწონს, მთიულო, ეს ჩვენი ქვეყანა? აბა რას მოვეწონება შენ ტიტევლ კლდებთან! ვაცი მოწყენით იქნები, ნუ ინალელი, შეეჩვევი, მალე დაგავიწყდება შენი ქვეყანა. აბა მე მიცემო, მეც შენსაერთ ტყეში სული მძღვროდა, ჩემი ეკლების გამო ფრინველებიც კი მერიდებოდენ. არცარავინ ავსა კითხულობდა ჩემსა და არცარავინ კარგსა. იქ შინდებში და თხილებში არც კი ვჩინდი, მზის შუქი მენატრებოდა; ჩემ ნაყოფსაც, სანამ სულ არ დატურტლავდებოდა, პირს არავინ ახლებდა, ახლა კი ჰერთა შენი ბედნიერი თვალი რა ადგილს ვარ გამოჭიმული ჩემთვის ფართოთ და ხალვათათ. არც არავინ მჩეჩე მეფარება და თვალში მეჩხირება, არც არავინ ზეუ მაწევბა და მჩრდილავს, არც არავინ მამტვრევს და მკაფავს ღობებისთვის, როგორც იქ. ვარ ჩემთვის აქ სხევბან; ჩემი ეკლები კი თუმცა ისევ მასხა, მაკრამ ასე ამბობენ, ამას მოვჭრით და ზედ უკკლო საუკეთესო მსხვილი ბალის ზღვარტლს ვამყნობთა. რა უშავს, არა ქალა? მე ახლა ერთი სეპრე ტყეს ხილი ვარ და მაშინ სულ სხვა ვიქნები, ჩემ ნათესავებს ზედაც აღარ შევხედავ.

— ეჭ, ზღმარტლო, ნეტავი შენ, რო სადაც მიხვალ, ქუდი იქაურულათ დაიხურავ. ეგ იუდობაა, სხვა არავერი.

— რას ამბობ, მთიულო, გახმაურა ამ ლაპარაკზე ზამთრის ძილიდან გამოფხიზლებული ჭანჭური ცირცელსა.—მაღლობელიც არა ხარ, რომ ამისთანა პატრონის ხელში ჩავარდი და მთიდან ასეთ ქვეყანაში მოხველ? მე ვიცი, იქ თვისუფლათ რო ჰყოფილიყავ, მაგრე გაგითხილდებოდენ, როგორც აქ გაგითხილდებიან, ერთ მარცვალსაც ვერავინ მოაკლებს შენ მტევნებს.

— ვაცი, რო არავის რას შეაჭმევენ, მაკრამ თვითონ კი ყველაუყრის შესჭამენ, გაეპასუხა უგულოთ ცირცელი.

გაეიდა გაზაფხულიც. ჩაიყვავილა ხეხილმაც, დაპურდა მინდვრათ ზალახი. გაზაფხულს მოჰყეა ზაფხული, ცირცელისათვის ტანჯეისა და წამების დრო.

იმ დროს, როცა უზარმაზარი ვენახი ხილით იყებოდა; უვითელი დაშაქრებული მსხლები, გვერდწითელი ვაშლები, წითელ-ყვითელი ქლიაუ-ჭანჭურები მნახელის თვალს იტაცებდენ, დამკრახული მტევნები ვაზებზე დნებოდენ,—ცირცელი კი სიკედილის პირს მისული ძლიერ იდგა ფეხზე. ჩამოჭრნობოდენ ფოთლები, დაღმეჭოდა ქერქი და მწუხარე სევდით და სიყვარულით საესე თვალები თავის ქვევნისკენ მიეღო. იქ, იქ, შორს მინდვრებასა და მთებს იქით ეგულებოდა თავისი სამშობლო. ეს, რა იქნებოდა, ერთი კიდევ დაეკრა თვალი თავის მშობელი მთისთვის, ერთხელ კიდევ ჩაჭურებოდა იაზმის წყალივით ამის მაღლიან მკერდს, ერთხელ კიდევ ჰაჭკონებოდა იმის დამჭურარ ფოთლებს მთის ნამი,—მაშინ უეჭველათ მორჩებოდა, ისევ ვამობრუნდებოდა, ისევ აუმწევნდებოდენ ფოთლები. ერთხელ კიდევ დაეკრა თვალი იმ დადებული არე-მარისთვის, სადაც მეხისგან თავ-პირ ჩამოლეწილი მუხები იდგა, სადაც არყი და თხილი ზვავს მიწაზე გაერთხა და ცოცხიერთ დაეგო; ერთხელ კიდევ სმენოდა ჩანჩქართ ხვივილი, მთებიდან დაკორებული ლოდების გრიალი და ლეზა-მტერევა, ზვავების ქუხილი, არწივის ყეფა და ნამიან დილაზე აშლილი როჭოების კავანი და ჭიყილი. ერთხელ კიდევ დახმარებოდა პაწა-წა ტკბილ ნაყოფიან შალშავს, ფრჩხილის ტოლა ფოთლებიანს, იმ პირშეავსა და თვალშავსა, და მოესმინა იმ ბრძენი ბრაწის ნაამბობი, ბერიკაცის წევრებივით კლდეს რომ ეკიდა.

ოჲ, მაშინ უეჭველათ ისევ გაცოცხლდებოდა და ამდენ ტან-ჯეა დავიწყებული მტრისთვისაც ილოცავდა ისევ და მოკეთისთვისაც.
— იჲ, კაცო, კაცო! რა მიუავ, რათ მომწყეიტე ჩემ სამშო-

ბლოს, რატომ იქვე ცულით არ აჩეხე და ცეცხლზე არ დამწვი? ნერა იმ ქვეყნათ მაინც შეგხვდებოდე, ჩემთვის სამშობლოვ, ბეღნიერსა, და იქ მაინც გამაძლო შენი ცქერითა! მაგრამ შენაც ხომ არ მოჰკვდები, რო სიკვდილის შემდეგ ისევ შეეიყარნეთ. მშეიღობით, მშეიღობით!...

— კი არ გახმეს ე ცირცელი, რა ყურები ჩამოუყრია, თქვა ეთხელ ვენახის პატრონმა,— რა ღმერთი უწყრება.

— მაგათი ჯიში მაგრეთია, ბატონო, მოახსენა მებალემ, თუ არ მთაში ეგ ბარათ თურმე არა გვარობს, ტყუილათ გვექნება მაკი. სი იმედი.

მეორე გაზაფხულზე ცირცელს ფათლება აღარ გამოუტანია.

თ. რამეგაშეიღი.





გვარეულის მოლოდინი.



ერ ზამთარია, ფოთოლი
სრულებით არ აქვს მცენარეს;
ჯერ არ ეტყობა სიცოცხლე
ტყეს და ველს, ტიტვლათ მძინარეს.

ისევ სიცოვე მეუფებს,
სპეტაკი თოვლი ელვარებს,
და ქარიშხალი, ყინული
შეუპოვარათ მძეინეარებს!

ქარი ზუზუნებს, ღმუვის, სტვენს
და ტებილ ძილს გვიფრთხობს, გვაჯაერებს;
სახლში რომ ველარ შესულა,
აწეება კარს და ფანჯარებს...

მაგრამ ხან-და-ხან ოქროს-მზე
კაშკაშ სხივს ისერის ღიმილით
და ფრინველთ გუნდი აქა-იქ
ფოხრიალებს ქივილ-ხივილრთ.

ამით ეტყობა, გვიგზენის,
მზე გაზაფხულის სალამსა;
თავის დიდებულ ძალ-ღონეს
იჩენს და აღარ მალამსა.

ზამთარს დასკინის: „დამაცა,
ჩქარა გაგიქრობ ხსენებას!
ყინვის მძლავრ ბორკილს შეემუსრავ,
ბუნებას დავდებ შეენებას.

„მაგ თეთრ სუდარას შემოგხსნი,
სხეაფრივ შეემოსავ ბუნებას,
და ყოველ სულღმულს, აწ ტყვეო ქმნილს,
გაუუხალისებ გუნებას.

„კაბათ ჩავაცმევ რბილ ბალახს,
სარტყლათ — ვერცხლის მსგავს მდინარეს,
ჩიხტ-თავსაკრავათ — ლავეარდ ცას
და გაეალვიძებ მძინარეს!

„ტახტათ დავუდგამ ჰატარძალ —
გაზაფხულს მწვანე მთა-ბარსა;
თბილი ჰაერით შემორტყმულს,
ყვავილთა სუნით დამტკარსა!

„თავისუფლების, სიცოცხლის
და სიტყბოების მწყურეალეს
განსასენებლათ სიამით
ის გულს მიგიკრავთ მხურვალეს!“

თეოფ. კანდელაკი.



ნელლო და პატრიში.



(მთასწორია უიდის).

III.

ხოლოთ ერთი რამ აწუხებდა და აღონებდა პატ-
რაში: ანტერპენში ნელლო ხშირათ შედიოდა
დიდ ქვითკირის ეკკლესიებში და მთელი სათო-
ბით ჰიჩებოდა იქ, საღლაც ბნელ თაღებს ქვეშ მი-
მალული: შორი ახლოს ქუჩაზე წამოწოლილი პა-
ტრაში მოუთმენლათ ელოდა ხოლმე მის გამოსელას და ვერაფრით
ვერ გაეგო, რას აკეთებდა იქ იმდენ ხანს მისი პატარა პატრონი;
ორჯელ სამჯელ იმანაც მოინდომა ეკკლესიაში შესვლა და თავის
პატარა ურმიანა კიდევ აეიდა რამდენიმე საფეხურზე, მაგრამ იქ მას
ყოველთვის შავ ტანასამოსში გამოწყობალი, კისერზე ვერცხლის
ჯაჭვ ჩამოკიდებული კაცი დაუხვდებოდა და ქვეით ჩამოაგდებდა; პატ-
რაში ის კი არ აწუხებდა, რომ ნელლო საყდარში შედიოდა, არა
მან კარგათ იცოდა, რომ ყველა მათი სოფლელებიც დადიოდენ წი-
თელ წისქეილის პირ-და-პირ აშენებულ პატარა ჩამოძველებულ საყ-
დარში; მას მხოლოთ ის აფიქრებდა, რომ ეკკლესიიდან ნელლო
თითქო გადასხვაურებული გამოდიოდა; ხან ნამეტანი ფერმქრთალი
იყო ხოლმე, ხან მთლათ აწითლებული და აღელვებული; სახლში
რომ დაბრუნდებოდა, იქაც დიღხანს ვერ გამოერკვეოდა; აღარც
თამაში, აღარც სიჩბილი, აღარ ეხალისებოდა, ჩუმათ იჯდა ხოლმე
მოწყენილი და ჩაფიქრებული და მთელი სათობით გარსკვლავებით
მოწყედილ ცას მისჩერებოდა.

— ნეტავი რას უნდა ნიშნავდეს ყველა ეს? — ჰეიქრობდა ხში-

რათ პატრაში. მისი აზრით, პატრა ბაეში არ უნდა ყოფილიყო ასე დინჯი და მუდამ დაფიქრებული, და ის ყოველგვარ საშუალებას ხმა-რობდა რომ ნელლო თავის სიახლოესიან არსად გაეშვა, მზისაგან მხიარულათ განათებულ მინდვრებში და ხალხით საეს მაელნებზე დაეკავებინა; მაგრამ ნელლო მაინც ეკელესიებისაკენ ეშურებოდა. ყველაზე უფრო ხშირათ ის ერთ დიდ ტაძარში დადიოდა ხოლმე და მანამდის რჩებოდა იქ, სანამ რეინის ჭიშკარს არ ჩაკეტავდენ. მხოლოთ მაშინ გამოვიდოდა ბაეში ძალაუნებურათ ტაძრიშან, მო-ეხვეოდა ძალის, მხურებალეთ დაუწევებდა კოცნას და სულ ერთსა და იმავე, მისთვის გაუკებარ სიტყვებს, უმეორებდა:

— ოჟ, პატრაშ! როგორ მინდა იმათი ნახეა!

ეისი „იმათი“? ჰეთიქრობდა პატრაში და დაკეირევებით მისჩერე-ბოდა ნელლოს თავისი დადი, ჭკვიანი თვალებით.

ერთხელ შავტანისამოსიანი კაცი სადღაც წავიდა და ტაძრის კარები ლია დატავა; პატრაშმა დრო ხელთ იგდო და სწრაფათ შე-იპარა საყდარში; იქ მან დაინახა ნელლო, რომელიც კანკელში და-სვენებულ ლეთისმშობლის ხატის წინ იდავა; იქვე ჩნდა ორი დიდი თეთრ ტილო ჩამოვარებული სურათი. ნელლომ წყნარათ გამოიყვა-ნა მეგობარი კარეთ, მწარეთ აქვითინდა და წყენით უთხრა: — არ სა-შინელებაა, პატრაშ, რომ მე მათი ნახეა მარტო იმიტომ არ შემი-ძლია, რომ ღარიბი ვა! ღარწმუნებული ვარ, ღიდი მხატვარი, რუ-ბენსი, ყველასთვის ხატავდა და არა მარტო მდიდრებისთვის! მის შვე-ნიერ სურათებს კი აქ მარტო იმათ უჩვენებენ, ვისაც ბევრი ფული აქვს! ოჟ, პატრაშ! მეგონი სიხარულით გადავირეოდი, ერთხელ მა-ინც რომ მელირსოს მათი დანახეა!

ახლა კი გაიგო პატრაშმა, რაში იყო საქმე, მაგრამ რითი — შეეძლო თავის პატრა მეგობარს დახმარებოდა? ის ხომ ვერსად ვერ იშოვნიდა ფულებს, რომელიც საყდრისთვის უნდა შეეწირა რუბენსის ნახატების ნახევის ყოველ მსურეელს? ორივემ კარგათ იცო-დენ, რომ მათი ნახეა შეუძლებელი იყო.... და ბაეში უკრო და უფ-

რო მწუხარეთ ეხუთებოდა სული, თან-და-თან უურო იტაცებდა მას თეთრ ტილო ჩამოფარებული ნახატების ნახევის სურვილი.

IV.

ხელოვნების სიყვარული, გატაცება, მძლავრათ გაბატონებულიყო ნელლოს სულში და გულში, მთელ მის არსებაში; როცა ის ქალაქის ქუჩებზე მიღიოდა დიდი ძალის გეერდით, რომელიც რძის ქოთნებით სავსე პატარა ურემს მიახროვინებდა, მისი ოცნება იმ სასწაულოთმომქმედ სამთავროში მიიღიათ და, სადაც განუსაზღვრელათ მეფიობდა დიდი მხატვარი რუბენის; მშერი, დაღალული, ჩა-მოფლეთილი ნელლო ყველაფერ ჭირ-გარაშს ივიწყებდა, როცა კი მას ეს ტებილი ოცნებები გაიტაცებდენ. ღარიბ, ობოლ, უპატრონო, უსწავლელ ბავშვი მხატვრობის დიდი ნიჭის ნაპერწყალი ღვიოდა, მა-გრამ ამას ვერავინ ამჩნევდა, ეს არავინ იცოდა, არ იცოდა თეთრ პა-ტარა ბაეშმაც. მხოლოდ პატრაში ხედავდა ხოლმე, როგორ ხატავ-და ნელლო დიდ, პტყელ ქვებზე ყველაფერს, რაც კი მის წინ იყო, მხოლოდ პატრაშს ესმოდა, რა ხშირათ იმეორებდა ხოლმე ის ღამ-ლამეობით მოწიწებით და პატარებისცემით რუბენისის სახელს; მხო-ლოდ პატრაში ამჩნევდა, როგორი აღტაცებით ბრწყინვადენ მისი ფართეთ გახელილი თვალები, როცა ჩამავალი მზის ან პირველი ცისკრის ნაზ შექს მისჩერებოდენ... და ხშირათ ვრძნობდა ხოლმე პატრაში მხურეალე ცრემლებს, რომლებიც წვეთ-წვეთათ ეცემოდენ მის თავს ბავშის დიდი მწუხარე თვალებიდან...

— მე მოსევნებით მოკვედებოდი, ნელლო, — ეტყოდა ხოლმე ხან-და-ხან შეილიშეილს მოხუცი დასი, — ღარწმუნებული რომ ვიუო, რომ შენ ყოველთვის საკუთარი ქოხი და საკუთარი ნაგლეჯი მაწა გექნება...

მოხუც დაასა ეგონა, საკუთარი მიწა-წყლისთანა კარგი ქვეყნი-ერებაზე არა არას რაო და თავის საყვარელ პატარა შეილიშეილ-საც ამ ბედნიერებას უნატრიდა. მაგრამ ნელლოს კი სულ არ იზი-

დავდა სოფლური ცხოვრება, არა, მისი ოცნება სულ სხვა იყო; ის ოცნებიბდა მხოლოთ იმაზე, რომ ღდესმე მხატვარი შეიქნებოდა. თეალწინ ყოველთვის მომავლის მომხიბლავი სურათები ეხატებოდა... მას ალელუებდა ყველაფერი, რაც კი რამ შევნიერი იყო ბუნებაში; ყველა ეს იციდა მხოლოთ პატრაშმა, რომელსაც ბავში ფურჩულით უჩიარებდა თავის სარდუმლოებს, როცა ისინი ერთათ მიღიოდენ სამუშაოთ, ან და ერთი მეორის გვერდით იწვენ წყლის პირს მოშრიალე ლერწმებს შორის.

ამისთანა იცნება სიტყვით ძნელი გადმოსაცემია... ყველასაც არ შეუძლია შისი გაეგძა. მოხუც დაას რომ გაეგო, რა ეხატებოდა თეალ წინ პატარა ნელლოს, ძალიან შეჭოოთდებოდა; მას ხელოვნებაში არა გაეგებოდარა; მისი აზრით უშნოთ მოთხუპნული სურათები, რომლებიც მათ დუქანში ეყიდა, ისეთიერ ლამაზები იყვნ, რაგორც რუბენის საუკეთესო ნახატები.

პატარაშს გარდა ნელლო თავის ფიქრებს და ოცნებებს პატარა ალოიზასაც უზიარებდა; ალოიზა წითელ წისქეილში, ხაუსით მოცულ პატარა გორაკზე ცხოვრებდა. მამა მისი, მეწისქეილე, სოფელში ყველაზე მდიდარ გლეხათ ითვლებოდა. პატარა ალოიზა ლამაზი, რკვალ-სახიანი და დიდ შავ თეალებიანი ქალიშეილი იყო; ის ხშირათ დარბოდა ხოლმე ზაფხულობით ნელლოსთან და პატარაშთან ერთათ აჭერანებულ მინდორ-ველებში, ხშირათ თამაშობდა მათთან ერთათ ზამთარშიაც თოვლობიას... ის და ნელლო საყდარშიაც ერთათ დაიღიდენ, სამივე ერთათ კი უფრო ხშირათ იჯდენ ხოლმე მხიარულათ მოგუგუნე ცეცხლის წინ მეწისქეილის სახლში.

პატარა ალოიზას არც და ჰყავდა და არც ძმა. მოელ სოფელში ის ყველა ბავშებზე მდიდარი იყო; მისი ცისფერი შალის კაბა დახული არაოდეს არ იყო, ბაზრობაზე მას ყოველთვის ბეჭრ ხილს და ტკბილეოლობას უყიდიდენ ხოლმე, პირეელათ საზიარებლათ რომ წაიყვანეს, მაშინ კი თეაზე ძეირფასი არშიების ჩეპჩიკი დაახურეს. მაგრამ ალოიზა თავის სიცდიდრეზე სრულიადაც არ ჰყიქრობდა; ის .

გულ-უბრყვილო, მხიარული ბაეში იყო და ყველაფერზე უფრო ნელლოსთან და მის განუშორებელ მეგობარ, პატრიაშთან, თამაში უყვარდა.

ერთხელ ალოიზას მამა, კოგეზი, შეენიერ სურათს წაატყდა: წისქეილს უკან დაფენილ დიდ ველზე, თვეის გროვაზე, იჯდა მისი პატარა ქალი; მის გვერდით იწვა პატრიაში, რომელსაც თავისი დიდი თავი პატარა ბაეშის კალთაში ჩაედეა; ორივე, ბაეშიც და ძალ-ლიც, მორთული და დამშვენებული იყვენ წითელი ყაყაჩოს და ცის-ფერი ყვავილების გვირგვინებით და თაიგულებით, შორი ახლოს დამჯდარი ნელლო კი გატაცებით ხატაედა მათ ნახშირით ჭმინდა, თეთრ ფიცარზე.

მეწისქეილე შეჩერდა და ნახატს დააკეირდა. მსგავსება ისე სა-ოცარი იყო, რომ მოულოდნელათ მას თვალებზე ცრემლები მოა-დგა; თავისი პატარა ქალი ძალიან უყვარდა... მაგრამ მალე დამშვიდ-და, სასტიკათ შემოუძახა ალოიზას, რატომ დედას არ ეხმარები სა-ხლშიო, შეშინებული და ატირებული ბაეში შინისკენ გააგდო, მე-რე ნელლოს მიუბრუნდა და ფიცარი ხელიდან გამოგლიჯა.

— ხშირათ ჰყარგავ დროს ასეთ სისულელეებზე? — გულმოსუ-ლათ ჰყითხა მან, თუმცა ხმა ცოტათი უკანკალებდა.

— მე ყოველთვის ეხატავ ყველაფერს, რასაც ეხედავ! — კრძა-ლებით მიუგო ნელლომ, გაწითლდა და თავი ძირს ჩალუნა.

მეწისქეილე ერთ ხანს დაფიქრდა, მერე ვერცხლის ფული გაუ-შეირა ბაეშს.

— ტყუილათ ჰყარგავ დროს... მაგრამ სურათი ჰგავს ალოიზას და ძალიან ასიმოვნებს ჩემ ცოლს. მომეცი მე, შენ კი ეს ფული წილე.

სიწითლე უცებ მოშორდა ნელლოს სახეს, მან ასწია თავი და ხელები ზურგს უკან წაილო.

— შეინახეთ თქვენი ფულები და სურათიც თქვენ დაიტო-ვეთ! — უპასუხა მან. — თქვენ ხშირათ გულ-კეთილობას იჩენდით ჩემ-



ჰე! — მერე დაუძახა პატრაშს, მოჰკიდა კისერზე ხელი და მასთან ერთათ გასწია მინდორ-მინდორ შინისაკენ.

ძალიან შეშფოთებული შევიდა კოგეზი წისქვილში.

— ასე ხ'მირათ არ უნდა იყოს ხოლმე ალოიზა იმ ბავშთან! — უთხრა მან საღამოს ცოლს. — რა აქესთ საერთო? ალოიზა მდიდარია, ის კი — ძალიან ღარიბი.

— ის — კეთილი და პატიოსანი ბავშია! — მიუგო ცოლმა, რომელიც ალტაცებით მიჩერებოდა თეთრ ფიცაზე დახატულ სურათს. ეს ნახატი ახლა ბუხრის თავზე ეკიდა, ჯვარცმისა და დიდ საათის შუაში.

— მართალია! — დაეთანხმა მეწისქვილე და ერთი ჭიქა ლუდი დაცალა.

— მაშ რა უჭირს, ერთათ რომ ითამაშონ ხოლმე? — კრძალვით შეეკითხა ცოლი.

— გაჩუმდი, დედაკაცო, ბევრს ნუ ღაპარაკობ! — სასტიკათ შეუტია ქმარმა, — მე ვთქვი, რომ სამეცნიერო არა აქეთ რა — და გათავდა! — საცოდევი ჭალი შეშინდა და გაჩუმდა.

პატარა ალოიზას აღარ უშევებდენ ნელლოსთან სათამაშოთ; ნელლომ შენიშნა ეს და ძალიან ეწყინა, იგრძნო, რამ უსამართლოთ მოექცენ. მაგრამ ის ამაყი და თავმოყენე ბავში იყო; მან თითონ დაანება თავი წისქვილში სიარულს და როცა პატარა ალოიზა ჩუმათ მოირჩენდა მასთან და მაფერებით ჩაუდებდა ხელში თავის პატია ხელს, ის მწუხარეთ გაიღიმებდა და ეტყოდა.

— ნუ მოდიხარ ჩემთან, ჩემო ალოიზა! მამა შენს ჰეონია, რომ მე სიზარმაცეს გაჩვევ და არ სურს, რომ ჩენ ერთათ ვიყოთ ხოლმე!

ნელლო დარწმუნებული იყო, მეწისქვილე იმაზე გაჯაერდა, ალოიზას სურათის დახატეა რომ გაებედო. უწინ, როცა ანტვერპენიდან სახლში ბრუნდებოდა და წისქვილის გვერდით ჩამოიელდა, ის ყოველთვის მხრარულათ მიესალმებოდა ხოლმე ყველა იქ მცხოვრებლებს და ყოველთვის ალოიზას პატარა ფუნთუშა თეთრი ხელი რამე ძეალს ან პურის ნატესს ვაღმოუგდებდა პატრაშს.

ნელლო და პატრიარქი

ახლა კი პატრიაში ყოველ გამოვლაზე დალონებით გადახედავდა ხოლმე წისქეილის ჩაკეტილ კარებს, ბაეში კი, რომელსაც მწუხარებისაგან გული ეხუთებოდა, ჩქარი ნაჭიჯით ჩაირბენდა წისქეილის გვერდით; პატრია ქალიშეილი ამ დროს ხის სკამზე იჯდა ხოლმე ბუხრის წინ; დაინახავდა თუ არა ის თავის მეგობრებს—ცხარე ცრემლები თითო თითოთ დაეწევთებოდენ წინდას, რომელსაც ის ჰქონედა.

ბაეშები სულ უფრო და უფრო იშვიათათ ხედებოდენ ერთმანეთს. უწინდელი მათი მხიარულება და ერთმანეთთან გულახულობა გაპქრა; მაგრამ პატრია თეთრი ფიცარი მაინც ბუხრის თავზე ეკიდა საათსა და ჯვარუმის შორის და ნელლოს ვერაფრით ვერ გაეგო, რათ მიიღეს მისი საჩუქარი სახლში, რომლიდანაც თითონ ის საუკუნოთ განაძევეს. მაეში არაფრის ამბობდა, არაეის თავს არ აბრალებდა თუმცა მწუხარებით გული ეთუთქებოდა... დიური ხანი იყო რაც ყოველი მწუხარების და უბედურების ჩუმათ, ხმა ამოულებლათ გადატანას მიეჩინა. მოხუცი დაასი ხშირათ ეუბნებოდა:—ჩენ ღარიბები ვართ, რასაც ღმერთი გამოვევგზავნის, ცუდია თუ კარგი, უსიტყვოთ უნდა აეიტანოთ. ღარიბების ნება არა აქვთ, რამე ისურვონო!

ბაეში ყოველთვის ხმა ამოულებლათ მოისმენდა ბაბუას ნათქეამს, რადგანაც ძალიან პატივს სცემდა მას, მაგრამ მაინც რაღაც უცრიაური, გამოურკვეველი, ტკბილი იმედი ყურში ჩასჩურჩულებდა „ღარიბს შეუძლია ბედისა და ხალხის წინააღმდეგ—დიდი, სახელგანთქმული გახდესო!“ ბაეშს იმდენი რწმენა ჰქონდა თავისი თავის, რომ ერთხელ, როცა პატრია ალოიზამ ტარილით მიირბინა მასთან და უთხრა, დღეს ჩემი დღეობაა, დედმამამ კი ნება არ მომცეს შენ დამეპატიენე ჩემ პატრია დღესასწაულზე, ნელლომ სიყვარულით აკაცა მას და გულდაჯერებით უთხრა:

— ნუ ტირი, ჩემო ალოიზა! აი, დრო გავა და ყველაფერი შეიცვლება. როდისმე ის ფიცარიც, რომელიც მე მამა შენს ვაჩუქე, აქროს ფასათ გაიყიდება. მაშინ მამა შენიც გამიღებს მე თქვენი სა-

ხლის კარებს! ოღონდ შენ გიყვარდე, ჩემო საყვარელო, ჩემო კარ-
გო პატარა ალიზა, და მე...—მე დიდი მხატვარი გაეხდები!

— მე რომ არ მიყვარდე? — შეეკითხა ბაეში და გაიღიმა, თუმ-
ცა თვალებში ჯერ კიდევ ცრემლები უბრწყინავდენ.

ნელლო შორის გაიყურებოდა, იქით, საღაც მოწითალო ოქ-
როსფერი სხივით განათებული ტაძრის მოოქრული თაერ მხიარუ-
ლათ ბზინავდა.

— მე მაინც დიდი მხატვარი გაეხდები! — წყნარათ მიუგო მან.
— ან სახელგანთქმული შევიქნები — ან მოვკვდები, ალიზა!

— გაშ შენ არ გყვარებიყარ! — გაბუტვით წამოიძახა პატარა
განაზებულმა ქალიშვილმა და ნელლოს ხელი ჰყრა. ნელლომ თავი
გაიქნია, გაიღიმა და დაფიქრებით წაეიდა შინისაკენ წერილი ბალი-
კით, ოქროსფერათ მბზინავ ყანებს შორის.

თვალ წინ მას ბედნიერი მომავალი ეხატებოდა. აი, მან მიაღ-
წია დიდებას; მას ყველა ცნობას, ყველა სიხარულით ეგებება. ვლე-
ხები ერთი მეორეს უფურჩულებენ: „შეხედთ! ეს დიდი მხატვარია!
მაგისი სახელი მთელ ქვეყნიერებაზე ცნობალია; მაგრამ მაინც ევ
ის ჩენი ღარიბი, პატარა ნელლოა, რომელიც თაერი დიდ ძალთან
ერთათ ქალაქში რძეს ატარებდა გასაყიდათო!“ აი, ის მდიდრუ-
ლათ გამოაწყობს, სულ ხავერდში და აბრეშუმში ჩაჯერს თაერის
ბაბუას, პატარაში კი ოქროს საყველოს უყიდის და გამოუქადებს
ყველას: „აი ჩემი ამხანაგი, აი ის, ეინც ჩემი ერთათ ერთი მეგობა-
რი იყოო!“ მერე ის ააშენებს დიდ თეთრი მარმარილოს სასახლეს,
რომელიც მშევნერ ბაღში იღვომება; ამ სასახლეში იცხოვრებენ
ყველა ღარიბი, ყველა მიტოვებული ბაეშები, ყველა ისინი, ვინც
კარგი და კეთილისაკენ მიისწრაფიან.. ნელლოს უნდა, რომ ყველა,
ყველა ბედნიერი იყოს.

ამ მხიარულ ნათელ ოცნებებით გატაცებული ნელლო თაეს
სრულიად ბედნიერათ გრძნობდა, როდესაც შარტოთ-მარტო მიღიო-
და შინისაკენ, ბედნიერათ, თუმცა დღეს ალიზას დღეობა იყო.

ნელლო და პატრაში

წისქვილში მოგროვილი ბაეშები მღეროდენ, თამაშობდენ, მხიარულებდენ, სალამურის ხმაზე ცეკვამდენ, გემრიელ ქადებს და ათას-გვარ ტკბილეობას შეექცეოდენ, მაშინ როდესაც მას სახლში ვახშ-მათ შხოლოთ ხმელი პურის ნატეხი მოელოდა.

— არაფერია, პატრაშ! — სიყვარულით უთხრა მან და მაგრათ მოხვია დად ძალლს კისერზე ორივე ხელი. ახლა ორივე, ძალლი და ბაეში თავისი ქოხის კარებში იჯდენ და ყურს უგდებდენ მხიარულ ხმებს, რომლებიც წისქვილიდან მოდიოდენ. — არაფერია, პატრაშ! მოვა დრო და ყველაფერი შეიცელება!

მას მომავალი რწამდა... მაგრამ პატრაშის აზრით მეწისქვილი-სას გემრიელი ვახშმის ჭამა ათას წილათ სჯობდა მომავალზე ოცნე-ბას, რაც უნდა ტკბილი ყოფილიყო ეს ოცნება. და პატრაში ყოვე-ლოვის ღრინავდა, როცა კოგეზს გვერდით ჩაუვლილა.

V.

— დღეს ალოზას დღეობაა, არა? — ჰკითხა კუთხეში ლოგინზე მწოლიარე მოხუცმა დაასმა შეილიშეილს.

ბაეშმა თავი დაუქნია. მას ძალიან იმებოდა, ბაბუას რომ ეს დღე სრულიად გადაეიწყებოდა.

— მერე რატომ არ წახვედი წისქვილში? — განაგრძო ბაბუამ. — უწინ შენ ეს დღე არ გამოგეპარებოდა?

— შენ ავათ ხარ... მარტო როგორ მიგატოვებდი. — ნელი ხმით წაიბუტბუტა ნელლომ და ძირს დახარა ახალგაზდა, ლამაზი თავი.

— რა დიდი რამე იყო! ჩვენი მეზობელი, ეულეტა, მოვიდოდა და მომიელიდა; ყოველთვის არ მოდის ხოლმე, როცა შენ საღმე მადიხარ? არა, მითხარი, რა მოხდა, ნელლო? ნუ თუ პატარა ალო-იზის წაეჩუბე?

— არა, არა, ბაბუა! — სწრაფათ მიუგო ბაეშმა და სახე მთლათ აენთო. — კოგეზმა მე არ დამპატიება.



- ცუდი ხომ არა გიქნია-რა?
- მგონია, არაფერი. ფიცარზე ალოიზას სურათი დაფხატე, სხვა არაფერი.
- ჰომ!

მოხუცი მიხედა, რაშიაც იყო საქმე. მან ნაჩათ მიუკრა გოლზე ნელლოს თმა ხუჭუჭა თავი და სიყვარულით უთხრა ბებრული, აკანკალებული ხმით:

- შენ ძალან ღარიბი ხარ, ჩემო ნელლო!... სწუხარ ამაზე, არა?
- არა! — წყნარათ მიუკო ნელლომ. — არა, ბაბუა, მე მდიდარი ვარ!

და მართლაც, ბაეშს თავი მდიდარი ევონა, რადგანაც მძღავრ ნიჭს გრძნობდა მოელ თავის არსებაში. ის გარეთ გამოვიდა და ღილებანს იდგა ქოხის კარებში ამ მშეიდ, სასიამოენო შემოდგომის სალამოს; ის მისჩერებოდა ვარსკვლავებით მოჭედილ, მოწერილ მოკაშკაშებულ ცას, მისჩერებოდა მაღალ ალფის ხეებს, რომლებიც ნაჩათ ოჩხოდენ და შრიალებდენ... წისქეილში ყველა ფანჯრაში განათებული იყო; ბაეშს სალამურის ნაზი ხმა ესმოდა; ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოდიოდენ ლოყებზე, ისიც ხომ ჯერ ბაეში იყო, მავრამ მაინც ღლიმებოდა და სულ იმეორებდა: — „მომავალში! მომავალშია!“ მანამდის იდგა ასე, სანამ მოელი სოფელი არ მიყუჩდა, ყველა ფანჯრები არ ჩაბნელდა. მაშინ ის და პატრაში, ოჩივე წყნარათ შევიდენ ქოხში, ერთი მეორეს გვერდით დაწვენ და მაგრათ გადა-ეცვენ ერომანეთს.

VII.

ნელლოს ერთი საიდუმლო ჰქონდა, რომელიც, მის გარდა, მხოლოთ პატრაშია იცოდა. მათ ქოხს სულ პატარა ოთახი ჰქონდა მიღებული, რომელშიაც ნელლოს მეტი არაერთ შედიოდა; ეს ოთახი უშინ და უხერხული იყო, მაგრამ მავიერათ ჩრდილოეთიდან ის კარგათ იყო განათებული. აქ ბაეშმა მოიწყო ჩის სახატაეი ჩარჩო,

გააკრა ზედ ნაცრის ფერი ქალალდის დიდი ფურცელი და გულ-მოდგინეთ შეუდგა ხატებს; არაეის მისთვის არაფერი არ უსწავლებია; ფერადი წამლებისთვის მას ფული არ ჰქონდა; მას შეეძლო მხო-ლათ თეთრათ ან შავათ ქატა, ნახშირით ან ცარცით. ხშირათ სა-ჭმელ პურსაც არ იყიდიდა, რომ მის მაგიერათ ქალალდი შეეძინა. ახლა-ის ხატავდა ბებერ ტყის-მცველს, რომელიც ჯირკზე იჯდა. მას ხში-რათ უნახავს, რომ სწორეთ ასე იჯდა ხოლმე ბიძია მიხეილი საღამ საღამოობით.

ბაეშეა არც კი იცოდა, როგორ უნდოლა ხატვა, მაგრამ მისი-ნახატი მაინც მშეენიერება რამ იყო; ბიძია მიხეილი ცოცხალსავით გამოიყურებოდა ნაცრისფერი ქალალდიდან; მის დამკანარ, დანა-ოჭებულ-დალალულ სახეს მწუხარების ბეჭედი ჰქონდა დასმული; ეს სახე თითქოს დაუღალავ შრომაზე, უნუგეშო სიბერეზე, ტანკებითა და მოთმინებით საესე სიცოცხლეზე ლაპარაკობდა... მის გარშემო, ნახატზე, თითქო თან-და-თან ბნელდებოდა....

რასაკეირველია, სურათი უცოდინაროთ იყო დახატული, მას ბევრი ნაკლულევანება ჰქონდა, მაგრამ ის მაინც ცოცხალი და მშეე-ნიერი იყო, ცოცხალი, როგორც თეით სიცოცხლე. ბაეშე იმედი ჰქონდა, შეიძლება, მეტის მეტი თაეხედი იმედი, რომ ამ ნახატს ანტერპენში გაჯიბრებაზე წაიღებდა. ანტერპენში დიდიხანია გა-მოცხადებული იყო. ყოველ ნიჭიერ ბაეშე, 18 წელზე ახალგაზ-დას, შეუძლია წარმოადგინოს თაეისი ნახატი ცარცით ან კარანდა-შით დახატული და საუკეთესო ნახატის დამხატველს 200 ფრანკი მიეცემა საჩუქრათო. მსაჯულებათ სამი საუკეთესო მხატვარი იყო დანიშნული. მთელ გაზაფხულს, მთელ ზაფხულს და მთელ შემო-დგომას ნელლო თაეის ნახატს დაკვედა, რომელიც, თუ არჩეული იქნებოდა, პირველი ბიჯი უნდა ყოფილიყო დამოუკიდებლობამდე! მისაღწევათ, რომელსაც ფართე გზა უნდა გაეხსნა იმისთვის ხელო-ერების შესასწავლათ, ხელოვნების, რომელიც ისე ღრმათ და ისე გატაცებით უყვარდა.

უფრთხოდა მუშაობას; ხან-და-ჩან ნელლოს უნდობა აზანავი გაენ-
თავისუფლებინა და თითონ შებმულიყო მის მაგირათ ურემში, მა-
გრამ პატრაში ამის ნებას არაოდეს არ აძლევდა; ერთათ ერთი დახმარება,
როცელსაც ის ნელლოსავან აუშფოთებლათ ღებულობდა — ეს ურ-
მის უკანიდან მიწილა იყო, როცა ურემი გაყინულ გზაზე ველარ
იძოოდა.

— სახლში დარჩი, პატრაშ! ღმერთმანი, შენი დასვენების
დრომაც მოაღწია! — ხშირათ ეხევწებოდა დიდ ძალს ნელლო. — მე
მარტოც ძალიან კარგათ წავაგორავალებ ურემს! — მაგრამ პატრაში
მაინც ყოველთვის ურმის წინ დებოდა და ნელლოს ანიშნებდა
თვალებით და კუდის ქიცინით, ნუ ლაპარაკობ, მალე შემაბიო.

„არავინ არ უნდა ისვენებდეს, სანამ ცოცხალია!“ ფიქრობდა
პატრაში და ხშირათ ეჩევწებოდა, მეც მალე მომიერა სამუდაშოთ და-
სვენების დროო. მისი თვალები სულ უარესათ და უარესათ ხედავ-
დენ, დილაობით სულ უურო და უურო უჭირდებოდა აღვოშა. მა-
გრამ ის მაინც თავს ძალას ატანდა და დაჰკრავდა თუ არა ეკალე-
სიაზე ხუთი საათი, მაშინვე წამოდგებოდა თავისი ჩალის ლოვინი-
დან და სამუშაოთ ემზადებოდა.

— ჩემო საწყალო პატრაშ! შე და შენ მალე მოსვენებით ვი-
წოლებით საფლავში! ალერსით ეტყოდა ხოლმე მოხუცი დაასი ძალის
და მოფერებით გადუსვამდა თავზე გამხდარ, დანაოჭებულ ხელს,
ხელს რომელიც ისე ხშირათ უკანასკნელ ლუკმა პურსაც კი შუაზე
უყოფდა მას. და ორივეს, მოხუცი კაცის და მოხუცი ძალის გულს,
ერთი და იგვევ ფიქრი აწერებდა: და სტანჯავდა: „ვინ მოუკლის,
ვინ იზრუნებს მათ პატრას საყვარელ ნელლოზე, როცა არც ერთი
და არც მეორე მათვანი ქვეყნისრობაზე იღარ იქნება?“

ელ. წერეთელი.

(შედეგი იქნება)

କାର୍ତ୍ତିକା ମହାଶିଵାନୀ.



(ଉତ୍ତରାଞ୍ଚଲୀରେ)

ଏଣିକଂଠ ଜ୍ଞାତି ମାଲିନୀ ବାହୁଦର୍ଶିନୀ ବନ୍ଦଦଶି
ଶ୍ଵେତକର୍ମ: ତୃତୀୟ ପିତା ସାକ୍ଷୀନି କ୍ଷେତ୍ର ଶାରୀ-
ରତ୍ନମୁଖ, ସାହୁତ ପାରୀକର୍ମ ସାକ୍ଷୀନୀ ପଦ,
କର୍ମକର୍ମପାଦ ଜ୍ଞାତି ଲାକିଥିବା ଦୟାକୁରୀ,
ରାତ୍ମେଲାହୁତ ପାରୀମୁଖ ଫୁଲି ଏହି ଗାଥିବା,
ଏହି ଉତ୍ସର୍ଗ ପ୍ରାୟିକିତ୍ତ ତଥାରୀ ପିନ୍ଧିରୀ ଗୁରୁକ୍ରମାଶ୍ରମିତିତ୍ତିତ୍ତିତ୍ତି.
ମାଲିନୀ ପୁଣୀତ ପରାପରା ପାରୀକର୍ମ ଫୁଲି ଶିଖିଯା ପିତା ଲାକିଥି
ପାଦିବା ଦ୍ୱାରା ପାରୀକର୍ମକର୍ମପାଦ, ମାର୍କନାଥ ପାଦିବା ପାରୀକର୍ମକର୍ମପାଦ.
ଫଲେ ତଥାରୀ ଦୀଦିମ୍ବିଲ୍ଲାଙ୍କିବା: ମାଲିନୀକର୍ମ, ଏକିକର୍ମ ଏବଂ କୌଣସି
ପାଦିବା ସାଧିଲାତ ଏବଂ ରାତ୍ରି ପାରୀମୁଖିବା ଗାଥିବା ଶ୍ଵେତ
ଶାରୀରିକା, ଏହିକାନ୍ତର ରଙ୍ଗିନିଲ୍ଲାଙ୍କିପାଦିବା ତଥାକର୍ମ ପାଦିବା ଦୀଦିମ୍ବିଲ୍ଲାଙ୍କିବା:

— ଏହି ମହିନା, ଏହି କାର୍ତ୍ତିକା ମହିନୀ ଫୁଲି, ଏହି ଦୋଷବନ୍ଦି
ଏହି ଏହି ସାଫେଦାଙ୍ଗେବା? ଯିକିରିପାଦିବା ପାରୀକର୍ମ.

ଦୀଦିମ୍ବିଲ୍ଲାଙ୍କିବା ମିଳିବାରେ, ମର୍ଯ୍ୟାଦିକର୍ମ ଶ୍ରୀମତୀ ଶ୍ଵେତରୀଶ ଏବଂ ରଙ୍ଗିନିଲ୍ଲାଙ୍କିପାଦିବା ଶଶିମିତ ଶ୍ରୀରଙ୍ଗିବାରୀଶ, ମୈତୀର୍ମହାତମ ପରିପାଦ;
ଦୀଦିମ୍ବିଲ୍ଲାଙ୍କିପାଦିବା ପାରୀକର୍ମ ଶଶିମିତ ଶଶିମିତ ଏବଂ ମର୍ଯ୍ୟାଦି ଶ୍ରୀକର୍ମପାଦିବା ମହିନାଙ୍କିର ଫୁଲିକିରିବା:
ଏହି ଏହି ସାଫେଦାଙ୍ଗେବା ଏହି ପାରୀକର୍ମ ପାଦିବା ଦ୍ୱାରା ମର୍ଯ୍ୟାଦି ଶ୍ରୀକର୍ମପାଦିବା:

— ଏହି ମହିନା, ଏହି କାର୍ତ୍ତିକା ମହିନୀ ଶ୍ଵେତକର୍ମ, ଏହି ଫୁଲି ପାରୀକର୍ମ ଏବଂ
ଶ୍ଵେତକର୍ମ ପିତା ସାକ୍ଷୀନି କ୍ଷେତ୍ର ଶାରୀରିକ ଏହି ପାରୀକର୍ମକର୍ମପାଦିବା.

საბედნიეროთ აღიკო მალიან გამჭრიახი ბავში იყო,
იმას ეოველთვის და ეოველ ძემთხვევისათვის წინადადებე-
ბი მზათა ჰქონდა და აქაც უცებ წამოიძახა:

წავიდეთ ქალაქის ბაღში და ვიმდეროთ, ფულებს გვა-
ჩუქებენ როგორც მათხოვრებს და მოვუტანოთ მაგ საწე-
ლებს. ხედავთ! რა ეოჩადი ვარ, რა კარგათ მოვიგონე,
მაგრამ, — დაუმატა მან, — ტანისამოსი უნდა გამოვიცვალოთ,
თორებ შეგვატეობენ რომ ბავშები ვართ და არაფერს მო-
გვცემენ. ჩვენ უთუოთ დიდ ქალებსაგით და კაცებსაგით
უნდა ჩავიცვათ.

ვარიკოს და მალიკოს ეს წინადადება ისე მოეწონათ,
რომ სიხარულით ხტუფვა დაიწეუს.

ვარიკო ხაჩაროთ შევარდა დედის ტანთ-ჩასაცმელ
ოთახში, გამოათრია იქიდან ერთი დღი და მხრე-
ბზე მოიხურა, თავზე მეენიერი უვავილებით და არშიებით
მორთული ქუდი დაიხურა. ახლა კი სრულებით მოზრდილ,
დარბაისელ ქალს დაემზგავსა.

მალიკოც ბუმბულებით მორთული ქუდით და გრძელ
კუდიანი წამოსასხმელით მოირთო.

ადიკომ თავისი უფროსი მმის თბილი ჩასაცმელი ჩაი-
ცვა, მართალია მალიან გრძელი მოუვიდა, მაგრამ
რა უმავს, უფრო თავისუფლათ გრძნობს თავს, ქუდიც
თავის მამისა დაიხურა, ერთობ დღი ვამოდგა,
ისე რომ სულ სახეზე ჩამოეფხატა. ბოლოს ამასაც მოუ-
ხერხეს — ისე გატენეს ქადალდით რომ კარგათ დაეხურა.
ხიკომ კი ტანთ არ გამოიცვალა, თავისი ზემოთი ჩასაც-

მელი კურტყა გაიხადა და ჰერანგის ამარა დარჩა, ვითომ
და ლარიბი დედ — მამის შვილი იქო.

ახლა კი დროა, რომ გაიპარონ ბაღში. მაგრამ სწო-
რეთ იმ ღროს, როდესაც კარძი გასვლა დაპირეს, ვარი-
კოს დედა დახვედათ კარებში, რომელიც სტუმრათ ეოფი-
ლიეთ და ბრუნდებოდა.

ბავშვებმა უამბექს რასაც აპირებდენ. დედამ უთხრა:

— არა დარს მაგისტრების ბაღში წასვლათ. ბავშვები
სასტუმრო ოთახში მიმალა, თითონ წავიდა მალიკოს
მამას და ადიკოს და სიკოს დედას დაუძახა, რომლებიც
დიდ სავარმლები მიიწვია. როდესაც ისინი დასხვენ ვა-
რიკოს დედა დაუძახა და უთხრა ემაწვილების: აბა იმდერეთ
ისე, როგორც ბაღში აპირებდით სიმღერასო.



ვარიკომ, მალიკომ და ადიკომ ხელში აიღეს დიდონი
წიგნები, როგორც ნამდვილმა მომღერლებმა და დაიწევს

ერთათ სიძლერა, სიკოს კი სავარცხელზე თხელი ქადალ-
დი გადაეკრა და ბანს ამლევდა. ისეთი სასიამოვნო კონ-
ცერტი გამოვიდა, რომ ბავშვების მშობლები აღტაცებაში
მოვიდენ. როდესაც ვაათავეს, მალიკომ ადიკოს ქუდი მოხადა
და მივიდა მამამ. მამამ ერთი ოქრო ჩაუგდო ქუდში,
სხვებმაც იმის მაკალითს მიჰმამეს.

აბა, წარმოიდგინეთ თუ რა ბედნიერები იქნებოდენ
ჩვენი პატარა მემუსიკენი და იმათზე კიდევ უფრო მალიან
ნოტით სარდაფის მდგმური დედაქაცი და მისი პატარებისა
გოგონა.

ეკ. მ—სა.



მოსუსტის სიმღერა.



(მიბაძვა)

ეარ ვძობილვარ მდიდარს ოჯახში,
 ფუფუნებაშაც არ ვიზრდებოდი;
 მუდმ ვძრომობდი, არ ვზარმა-
 ცობდი,
 სიცხე უინვას არ ვერიდებოდი.
 მჩის ამოსვლამდის, დილა სუს-
 ხებზე.
 მგვირცხლათ მე ზეზე წამოვხტე-
 ბოდი,
 ჰირს დავიბინდი, ლოცვას ვიტეოდი
 და მუშაობას შევუდევებოდი.
 მახსოვს, როდესაც კურთხეულ გურით
 ღრმათ მავი მიწის გულია მოვხნავდა,
 ხან ხმირი წვ-მა დამასველებდა,
 ხან სიცხისაგან სულს ძლივს ვითქავდი.
 მაგრამ ჭავასა არათ ვიმჩნევდი
 მე ახალვაზრდა, მაშინ ჭანმრთელი:
 ღმერთსა ვმაღლობდი, ვმხიარულებდი,
 გულს არ მიყლავდა მწარე ნაღველი...
 შრომაშ და ჭავაშ ჩემის უაჩენის

ଧର୍ମ ପୂର୍ଣ୍ଣାବ୍ଲେଙ୍କ ଦୁଃଖରେଣିନା:
ବାରିହିନ୍ଦି ଫ୍ରାଣ୍ଡିଶ୍ଵିଳିନ୍, ବେନାମ ଶେଷେମଳ,
ମାନ୍ଦାରି ପିର୍ବାଜ, ରହୁଳାତ ମେହିନା...
ଏହି ରା ପିଗନ୍ଧେବ ଚାରିଶୁଳିନ୍ ରହୁଳେବ,
ଧୂଲି ମେଯିନ୍ଦିବା ବୋନ୍ଦିଶ୍ଵରିନ୍ଦିବା...
ନେତ୍ରାଜ ମାର୍କ, ମରମିତ ରା ବୋନ୍ଦିତଳିତ
ପିନ୍ଦ ପାତରା ତଥିରି ଫେରିଶ୍ଵରିବା!

ଓଲ. ପ - ମ୍ର.



პ ე პ ი ლ ი თ ე გ ე რ ს ი.

(ფრანგულიდან).

V.



ოფორც წინეთ მოგახსენეთ, ეძესი თვე იყო
 რაც მე ამ სასწავლებელში მიმაბარეს და-
 ძლიეს მივაღწიყ ჩემ საწადელს, უფროს გან-
 ყოფილებაში გადამიყვანეს, ფარესოსთან; შე-
 მოდკომაზე მე და ფარესოს უფროს კლასში გადავიყვანდენ. ოდე-
 საც მამიდა ევენტი მოდიდა ჩემ სანახავათ, ჩემი ერთათ ერთი სა-
 ლაპარაკო საგანი ჩემი ძერძფის მევობრას ქება იყო და სულ იმას
 უკავშირდოდი, ფრანგული ენის სასწავლებლათ ფული შემოეტანა,
 რომ იაკობის ენა შემცირავლა!

თუმც მე კი ძალიან ეჭვში ვიყავი, მაგრამ ის მაშინვე დათანხმ-
 და და ჩემი მევობრის გაცნობაც მოანდომა; იმასაც, ისე ოოგორც,
 მე, ძალიან მოეწონა პატარა ფრანგი და ამას შემდეგ ყოველთვის
 შუა გეიყოფდა იმ ტკბილეულობას, ომელიც ყოველ ნახეაზე ჩემ-
 თვის მოჰქონდა ხოლმე. ოცა მამიდამ გაიგო, რომ საბერძნეთში
 ფარესო სრულებით მარტოთ მარტოა და პირეის კონსულს მარტო
 თვეში ერთხელ მიჰყავს ხოლმე სახლში, წერილი მისწერა ფარესოს
 დედას, რომ ნება მიეცა ყოველ ბელნიერ და უქმე დღეებში, ოდესაც,
 კი დაგვითხოვდენ, ჩეენთან წაგვეყვანა ჩემთან ერთათ. იაკობმაც,
 თავის მხრივ, ბექრი ქება მისწერა თავის მშობლებს ჩემ შესახებ და
 მეტადრე მამიდის შესახებ; ნებართვაც მოუვიდა, რომ ჩეენსა ეკლო...
 მე ბელნიერათ ვთვლიდი ჩემ თავს რომ იაკობთან ერთათ ფისეირ-
 ნებდი. მამიდა ხშირათ ცხენებით გეგზავნიდა სასეირნოთ. ჩეენ გვახლ-

და ჩეენი მეჯინიბე ფილიპე, რომელსაც წითელი ვერცხლის ქღარუ-
ნებით შემკული განიერი სარტყელი ეკრა (ჩეენი ქვეყნის ჩვეულების
დაგვარათ) ჩეენ ათინის შესანიშნავ ადგილებს ეშინჯავდით ხოლმე:
პართენონს, იმ მინერვის ტაძარს, რომლის ნანგრევებს თითქმის მთე-
ლი ქალაქი უჭირავს, მარათონის მინდორს, საღაც მილტიადის მეო-
მრებმა გაიმარჯვეს და გაანდგურეს სპარსელები; აკროპოლისს, ძველ-
კოშკს, რომელიც არა ერთ განთქმულ გმირს დაუუცავს და შიგ თა-
ვისი სისხლი ჩაულერია. ყევლაზე შესანიშნავი ის იყო, რომ ეს პა-
ტარა ფრანგი მიამბობდა და მასწავლიდა ჩემი ქვეყნის ისტორიას და
მიხსნიდა ძველ ნაშთებს, რომელიც ახლაც დარჩენილან საბე-
რძნეთის ძევლი დიდების მოწამეთ: ფარეთ აღტაცებაში მოდიო-
და, როდესაც ჩეენი გამოჩენილი ძევლი მეომრების გმირობას მიამ-
ბობდა. მაგ: აღტაცების, პერიკლესის, ლეონიდასის, ახილესის და
არისტიდესის. მეც თან-და-თან აღტაცებაში შევდიოდი როდესაც
ვითვალისწინებდი ამ პ-რების გმირულ საქცევლს, რომელის წყალო-
ბით ჩეენ ქვეყანას პირველი ადგილი ეჭირა მთელ დედამიწის ზურ-
გზე.

— ოჟ, წამოვეკუირებდი ხოლმე ხან-და-ხან, — მე მგონია თუ შე-
მოხვევა მოშეცა, დაუუმტკიცებ ყველას, რომ ახლანდელი ბერძნები
ლირი არიან თავისი წარსული გმირებისა.

იაკობი ღიმილით მიყურებდა და თავს აქცევდა.

— აბა მამეცეს! შემთხვევა! ეიძახდი მე აღტაცებით.

— იქნება დადგეს იმისთანა დრო, როდესაც შენი სიმამაცე
და საქცევლი იმ გმირების შესაფერი იყოს, — მიპასუხა ფარეთმ ერთ-
ხელ: — ჯერ კი ნუ იკვერი, ჩემო ძეირფასო თეზეოს: შენისთანა გმი-
რის თავი და თავი ლირსება — სათნოება და თაემდაბლობა უნდა იყოს.

მე საშინლათ მეწყინა, რომ ფარეთმ ასე გულგრილათ მიიღო
ჩემი გმირული აღტაცება და მთელი დღე დალერემილი დავდიოდი.

დადგა ზაფხული, სწავლაც თავდებოდა, ამ დროს მამი-
ლას ფარეთმ დედის წერილიც მოუვიდა, რომელშიაც თხოვდენ,

რომ მეც იმათ შეიღთან რამდენიმე ხნით გავეკზავნე სტუ-
მრათ; ფილიპეს, ჩეენ მოხუცებულ, მოსამახურეს უნდა გა-
ვეცილებინეთ კანდიამდის რომელიც კრეტის სატახტო ქალაქია
და სადაც ფაშა ცხოვრებდა. მამიდა ევენტის ბევრი ხევწნა და მუდა-
რება მოუნდა, რომ მე გაეცსტუმჩებინე, იყობის ხევწნამ და საფრან-
გეთის კონსულის თხოვნამ, როვორც იყო, მოალბეს იმისი გული
და გადასწყვეიტა პირების გავეცალებინე, სადაც იმ საეჭრო ვემზე
უნდა დამსხდარეციყავთ, რომელიც კრიტი მიდიოდა.

სწორეთ რომ არ შემიძლია აგიშეროთ თუ რა ბედნერი და
აღტაცებული ვყავი ამ მოგზაურობით! რადგან ძალიან თავ მოყვა-
რე ვყავი, მამიდა ჩემის მწუხარება და ტირილმაც კი გული არ
მომილბო. ის ჩაჯდა ნაეში, დიდხას ვეიყურებულ, ცხეირსახოც გვი-
ქნევდა და აუარება ცრემლს აფრიკევდა.

უცბათ გემის ბოლოდან საშინელი ხმაურობა და ჯაჭვის ჩხა-
რუნი მოისმა; თურმე მეზღვეები ღუზას, რომლითაც გემი იყო და-
მული, სწევენ, რომ გემი მოებრუნებინათ. კაპიტანი და მისი თანა-
შემწე თავთავეს ადგილას დადგან, მაშინამ ორთქლი ამოუშვა; წყა-
ლი დუღულ იმ დიდ ქვაბის სახურავის ქვეშ, რომელსაც მოძრაობაში
მოჰყავს გემი. ჩეენ გავემგზავრეთ.

— მშეიღობით საბერძნეთი, ჩემო ტკბილო ქვეყნავ, ოლჩო-
ჩოლრო ადგილებო და ცისფერო მოები! მშეიღობით მამიდაე!.. ჩეენ
წითელი ბაირსლი ავაფრიალეთ და ვიწრო პარების ნაეთსაღვურიდან,
რომელიც გემებით და იალქნანი ხომალდებოთ იურ საქსე, ნელნელა
გავსწიეთ წინ. ამ ნაეთსაღვურიდან გამოსვლა ძალიან საშაშია; გასა-
ვალი, რომელსაც ორივ მხრივ გადმოჰყურებენ სალი კლდეები, ისე-
თი ვიწროა რომ მარტო ერთ გემს შეუძლია ვაი ვაგლახით გამოსვ-
ლა. მე მეგონა რომ ჩეენი გემი ვერ გაეტევულ ამ გასავალში, მაგ-
რამ გამჭრიანი კაპიტანის შემწეობით მშეიღობინათ გავახწიეთ,
რამდენისამე წუთს შემდეგ იონის ზღვაში მიეცურავდით; ეს შეე-
წიერი მომხიბლავი ზღვა მოფენილია პატარ პატარა კუნძულებით,
რომელსაც საბერძნეთის არხიპელაგს ეძახიან.

ქარი თან-და-თან მატულობდა, ერთი იალქანი აუშევს, რომ მაშინისთვის შეემსუბუქებინათ შრომა და ამასთანავე ქვა-ნახშირის ხარჯიც შეემცირებინათ. გემი ქანაობდა და მეც თაებრუ მეხვეოდა. შიველ და გრძელ სკამზე ჩამოვჭექი, იაკობ ფარეოც გვერდით მომიჯდა.

— არ ფერმკრთალი ხარ, მყითხა მან, ზღვის ავათმყოფობას ხომ არა გრძნობ?

— არ ვიცი... მაგრამ როგორლაც თაებრუ მეხვევა, ძლიერ წა-მოვილულლუდე მე.

— წამოწევი ამ სკამზე გულ-ალმა და ეცადე როგორმე დაიძინო; მარტო სუფთა ჰაერს და ძილს შეუძლია შეგიმსუბუქოს ეგ ავათმყოფობა.

— შენ, შენ კი არა გწყინს ზღვა, ვკითხე მე იმისთანა ხმით, რომელშიც თითქოს საყვედური და შური გამოიხატებოდა.

— მე ბევრი მიმგზავრია, მიპასუხა მან, თუმცა მართალია ჯერ ყმაწვილი ვარ, მაგრამ მამა ჩემს იმისთანა თანამდებობა ჰქონდა; რომ რიგზეთ აღმოსავლეთიდან ეგვიპტეში დაღიოდა ხოლმე: მე შეჩერული ვარ; შენც არამდენსამე მოგზაურობას შეეძლევ შეეჩვევი და ზღვა აღარ გაწყენს; კარგი, ახლა დაიძინე...

— არა, მე არავის არ ვათქმევინებ რომ თეზეოს აგაპიმე ნონი, ასეთი დიდი და ღონიერი თორმეტი წლის ყმაწვილი, ზღვამ დააძუნა და დასძლია, შენ კი ჩემზე უნცროსი და უფრო სუსტი...

ჯერ ეს სიტყვები არ გამეთავებინა, ზეზე წამოვარდი რომ მებრძოლნა თაებრუს და გულის-რევის წინააღმდეგ, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე, დავეყუდე გემის მოაჯირს და ჩემი სავსე კუჭის შინაარსი ზღვაში გადავანთხიე. ძალიან შეურაცყაფილი და გაბრაზებული ვიყავი. ფარეომ ჩემი გაბრაზება ვერ შეამჩნია და მეგობრულათ ბოთლით წყალი მომაწოდა.

— მეც პარველათ ავრე დამემართა, მითხრა მან, აი დალიე რამდენიმე წვეთი წყალი, ტანჯეას შეგიმსუბუქებს.

მე უნდებლეთ დავემორჩილე მის რჩევას, ახლა კი ველარ ებე-
 დავდი ბუნების წინააღმდევ ბრძოლას. დასუსტებული წამოვწექი-
 სკამზე და ჩამეძინა.

VI.

როდესაც გამომეღვიძა იაკობი ხმა მაღლა კითხულობდა ერთ
 ძალიან საინტერესო ამბავს; თუმცა ძალიან მეძინებოდა და ბურუს-
 ში ვიყავი, მაგრამ მარც ამბის ერთი ასოც არ გამომპარება. ეს ამ-
 ბავი შეეხებოდა თეზეოს მეფეს, რომელმაც ათინის ღიდება ალადგი-
 ნა: თეზეოსი, ჩემი სეხნია, ჩემი განთქმული მფარეველი!.. თურმე იმ
 ხანში კრიტში იყო ერთი გასაოცარი გველ-ვეშაპი, რომელსაც მი-
 ნორთავრი ერქვა. ღიდ ღირსებებს და საჩუქრებს ჰპირდებოდენ იმ
 გმირს, რომელიც გაბედავდა და გაანთავისუფლებდა საბერძნეთს ამ
 საშიშარ მტრისაგან და თეზეოსმა, როგორც ნამდვილმა გმირმა, გა-
 ბედა და თავისი სამეფო ამალით კრიტის კუნძულზე გაემგზავრა...
 ეს ამბავი ჩემთვის ძალიან საინტერესო და სასიმოენო იყო.

— რა გასაკვირველი შემთხვევა! თქვა ფარებობ და მიმართა
 ერთ მეზღვე აფიცერს, რომელსაც უკითხავდა ამ ამბავს.— აი თე-
 ზეოსი! განავრძო მან და მოუთითა ჩემზე; — ესეც კრიტის კუნძულზე
 მიემგზავრება...

— ეგ კი იქნება, რომ იყისჩო მინორავრის მოკველა, უპასუხა
 მეზღვე აფიცერმა ღიმილით.

— რატომ არა? წამოვიძახე მე და სკამიდან წამოვხტი. ფარებო
 და ოფიცერი, რომელთაც ეგონათ რომ მე მეძინა ამ ჩემ ხმაზე
 შექროვო.

— როგორ შემაშინე! თქვა ფარებობ.

— რა დაგემართათ? მკითხა მეზღვე აფიცერმა, რომელიც არა
 ნაკლებ იყო გაკვირვებული ჩემი ლაპარაკით — სიჩმარშა ხართ, თუ
 გლეიძავთ კირე (ბატონი) თეზეოს?

— თქვენ სასაცალოთ აიგდეთ ჩემი სიმამაცე, განვაგრძე, მე,

გაცხარებით, —თქვენ შეურაცყოფა მომაყენეთ და დაცინეთ შემა-
დარეთ მეფე თეზეოსს იკოდეთ, ბატონებო, რომ როგორც კარგი
ჯიშის მონადირე ძალლს, მევ შემიძლია მოვკლა მინოტავრი!

მე აღელვებული და აღტაცებული ვლაპარაკობდი და გაბრაზე-
ბული თეალებით ვზომავდი ორივ მოსაუბრებს.

ფარეომ მოიკრიფა ძალლონე და თქვა ლიმილით:

— თუ კი მაგისთანა დიდ-გული ხარ და აგრე ადეილათ გწყინს,
ჩემო მეგობარო, ვინ ვიშლის მიიღო ის საჩუქარი, რომე-
ლიც ქრისტეს დაბადების წინეთ არის დანიშნული? შენი სა-
ხელი უკვდავათ დარჩება: შენ ახლავე რომ მაგ გმირობას ჩემუ-
ლობ, მაშ შემდეგში შენი გმირობით და სიმამაცით შენ სეხნიას
გადააჭარბებ კიდეც!

— განა მინოტავრი კიდევ ცოცხალია? ვკითხე მე და ვცდი-
ლობდი ჩემი ხმით უფრო მეტი სიმწევე გამომეხატა (თუმცა კი გუ-
ნებაში სრული დარწმუნებული ვიჟავი, რომ მეფე თეზეოსმა ის დი-
დი ხანია გამოფაშვა).

ფარეომ და აფიცერმა ერთმანესთ შეხედეს.

— ახლაც ცოცხალია, მიპასუხეს მათ ერთათ.

— ძალიან კარგი, მაშ მე იმას მოვკლავ! — გამოვუცხადე მე.

კ. მ - სა.

(შემდები იქნება)



მ ლ ღ ც ა ვ ი კ ა ლ ი ა .



ახატზე წარმოდგენილია ღირს-საცნობია მწერი, რომელსაც ხალხი წმინდანთ სთვლის, თითქმის რომ აღმერთებს. აგერ და კირილით ამ უცნაურ კალის, თითქოს მართლა ხელვბი აღუშებია ფათაძე და ლოცულობსო. ამ გვარი კალია ჩვენში მგონი არ მოიპოვება, რუსეთშიაც მრიელ იძვიათია, ხოლო სამხრეთ ევროპაში რამდენიმე ნაირი იცის. ევროპის მდაბიო ხალხს მართლა რწამს ამ კალის სიწმინდე და ამიტომაც უველა ნაირისთვის რჩეული სახელი უწოდებია: კალია — ღვთის მოსაყი, კალია — მქადაგებელი, კალია — გლახაკი, კალია — წმინდანი და სხვ... ლანგებოგის გლეხებს მართლაც და სჯერთ ამ კალის ლოცვა და ზოგ მაზრებშიაც ხალხი დარწმუნებულია, მგზავრის რომ კა აერევა, საითაც ეს წმინდანი ხელს გაიძვერს გზადაკარგულიც იქით უნდა წავიდესო.

მდაბიო ხალხის თვალში ეს უცნაური კალია დღესაც იმავ ჰატივშია, მაკრამ მეცნიერმა კაცებმა კი ამ მწერს ეხტიბარი გაუფუჭეს, აბრუ, სახელი გაუტეხეს, წმინდანის მარავანდედი ჩაძოართვეს, ამ კურთხეულ მწერის ცხოვრება დაწვრილებით გამოიკვლეს, უთვალთვალეს და ბოლოს ადმოჩნდა რომ მათი კურთხევა თავის გარეგანი-

წმინდანობით მხოლოთ ქვეშანის ატეუებს, ისე როგორც
 ადამიანებმიაც ხშირათ მოხდება ხოლმე. ნამდვილათ კი
 ამ კალიასთანა ავ მუცელა და ონავარი თურმე არა მწე-
 რი არ მოიჩოება, ვითომ და საჯორცავათ გამჭერილი ხელე-
 ბი იგივე მახეა, კაკანათია და ვაი იმ ბუზის ბრალი რო-
 მელიც კი ამ მახეს მოხვდება! – ჩვენი წმინდანი წამსვე
 წასწვდება და ორივე ხელით ჩირისკენ გზავნის თავის მს-
 ხვერცლს.

ზანგების ქვეუანაში, აურიკაში, ამ ჯიშის კალია უფ-
 რო დიდობის და მაღლოუანი იცის, აქ რომ დახატულია
 ეს არის ნამდვილი აფრიკის კალია, რომელსაც მეცნიე-
 რებმა სატანის გალია უწოდეს, რადგან სამინლათ
 ონავრობს, არამცთუ ბუზებს, ხვლიკებს და პატარა ჩიტებ-
 საც კი ერევა; დაიჭერს, ლუკმა-ლუკმა გლეჯს და შექმე-
 ვა. სატანის კალია (Idolum diabolicum) ფერით ისეთივე
 მწვანეა, როგორც მცენარის ფოთოლი, ფრთებისა და ტა-
 ნის მოევანილობაც მრიელ მიუგავს მცენარის ფოთოლს
 ან ტოტს. აგერ აქაც დასატულია ბალანის ტოტზე მჯდომა-
 რე კალია და თათქმის რომ ძლივს განირჩება მცენარისაგან.
 ამ გვარათ ჩვენ ავაზავს თვით ბუნება ებმარება, შეუმჩ-
 ნევლათ ზის მწვანე ბუჩქნარებში ჩასაფრებული და საცო-
 დავ წერილ ფეხობას: ბუზს, პეპელს, ხელიკს და პატარა
 ჩიტებს სულ მუსრს ადენს.



შეაგულ აფრიკის ზანგები ამ ავაზაკ მწერს მაინც
წმინდანთ სოველიან და ვისაც კი ეს მწვანე კალია თავ-
ზე დაჯდება, ღვთისაგან მოვლენილ წეალობათ მიაჩნია.

ილიკო.

ქ ვ ე ლ ი ს ა გ ე რ ძ ნ ე თ ი.

(ზღვაპრული ამბავი).

(თანამდებობა)

პრინციპი ასილეთან.



მერთები ციუან ხელვედენ გექტორის გვამის თრევას და ახილესის სასასტიკეს. ზოგი მათგანი გერმესს ეყმნებოდა, მოიტაცე გექტორის გვამი და ტროადლებს დაუბრუნეო. მაგრამ გერა და ათანა ამის წინააღმდევი იყვნენ: იმათ კიდევ არ ჰქონდათ დაერწყებული პარისისგან შეუჩრაცხოვა, რომ ვაშლი აფროდიტას მისცა. ბოლოს გექტორის მხარე აპოლონი და კორია და ოქეა: „უმაღურა და გულქეავო ღმერთები! ასე უბრივ სამაგიეროს გერორის, რომელსაც მრავალჯერ თქვენთვის მდიდარი მსახურებლი შემოუწირავს? როგორ, ახალეს აკინებინებთ გექტორის გვამა, ამისთან ურჯულოებას ჩადიხართ!.. ღმერთებს შორის მითქმა-მოთქმა ატყდა გექტორის გვამის გამო. ზევსმა მოუღო უველა ამას ბოლო. მოიხმო ფეტიდა და უბძანა ჩაეგონებინა შეილისთვას გექტორის გვამის ტროადლებისთვის დაბრუნება. შემდეგ პრიამთან გავზუნა ღმერთა ერიდა, „წადი, უთხარი შეილის გამოსახსნელათ ახილეთან საჩუქრებით წადითქო“. ორივე ღმერთამ მყის შეასრულეს ზევსის ბრძანება. ზევსის ნება რომ მოისმინა პრიამთა, მოამზადა მრავალი საჩუქარი და შუალამისას ეტლით გამოვიდა ტროიდან. გერმესმა შეუმჩნეველათ მოიყვანა პრიამი ახილესის ბანკუში; პრიამი რომ კარავში შეეიდა, ახილესი ჩაფიქრებული მაგიდასთან იჯდა. უბეღურმა პრიამმა დაიჩიქა ახილესის წინ და ხელებზე კუცნა დაუწყო: „ღმერთის მსვანესო ახილესი! მოიგონე შენი მამა. იქნება ისიც ახლა ჩემსავით უბეღურებაშია, — დამცველი, მფარეველი კი არაენა ჰყავს. მაგრამ ის კიდევ ჩემზე ბეღნიერია: იმას იმას იმედი მაინც აქვს, რომ შეილს ცოცხალს გიხილავს. მე კი ჩემი მკედარი შეილის გამოსაყიდლათ მოესულვარ შენთან. შემიბრალე,

ლეთის გულისფერის!... ხომ ხედავ ჩემ ტანჯვას, მგონი ქვეყანაზე არც ერთი ადამიანიშვილი ასე არ დატანჯულა: ჩემი შეილის მკელელს. ხელებს გიყოცნი“. პრიამის გულსაკულავმა სიტყვებმა, ცრემლებმა და მისმა მოხუცებულებამ იმოქმედა ახილესზე. უცბათ ფეხზე წამოდგა; პრიამი ააყენა და ტკბილათ ლაპარაკი დაუწყო. ცაილობდა მოხუცი ენუგეშებინა, ამშეიდებდა; ჰჯობს მეტ მწუხარებას ნუ მიყცემი, ტირილით გექტორი ველარ გაცალდება. შემდევ ახილესი გამოვიდა გარეთ, უბძანა მონებს გაებანათ გექტორის გვამი და სუფთა ზეწარში შეეხებათ. შემდევ შემობრუნდა შინ, თავისი ხელით მოამზადა ვახშემი და პრიამს გაუმსაპინძლდა. ვახშემს შემდევ მოსამსახურებმა ირი საწოლი მოამზადეს. ახილესისა და მისი სტუმარის დასაწოლათ. ახილესმა პრიამს ჰკითხა: „რამდენი ხანი გინდა, რომ გექტორი, დასაფლავებას მოანდომო? მითხარი, და ამ ხანს ბერძნებს ბრძოლის ნებას არ მივცემო“. პრიამმა 12 დღე ითხოვა. ახილესმა ხელი გაუწოდა და ტკბილათ უთხრა: „ისე იქნება შესრულებული, როგორც შენ გსურს, -- ამ ხნის განმავლობაში ბრძოლა შეწყვეტილიქმნება“. შემდევ დალალულებმა დაიძინეს.

ბეჭედის დასაფლავება.

Qრაფრაფა თუ არა, პრიამი გექტორის გვამით ბერძნების ბანაკიდან გამოვიდა. ტრიადელები სამგლოვიარო ეტლით წინ გამოეგეა ბენ. კუელაზე წინ მოდიოდა ცოლი და დედა გექტორისა; გულსაკულავი ლრიალით და თმების გლეჯით გაექანენ გექტორის უსულო გვამისაკენ. ხალხიც ტიროდა და წერდა თავის ერთათ ერთი მფარველისა და დამცუელის დაკარგებას. პრიამის თხოვნით ხალხმა გზა-დაცალა, და გვამი მიცვალებულის სახლში წაიღეს. იქ ამაღლებულ და მორთულ აღგილზე დასვენეს. დაქირავებულმა მომტირლებმა შორთეს მოთქმით ტირილი. იმათ შეუერთდა ცოლის, დედის და ზოგი სხვა ტრიადელი ქალთა ტირილიც. ასე გაატანა ცხრა დღე. სანამ მოამზადეს კიდეც დადი კოცონი. მეათე დღეს დილით გამოიტანეს გექტორის გვამი სახლიდან, კოცონზე დასდევს და ცეცხლი წაუკიდეს. კამლიმა დროებით დამალა მცედარი. როცა სხეული მთლათ დაიწვა, ტრიადელებმა ცეცხლი დვინით ჩაქრეს, მოაგრძოვეს გექტორის გვამის ფერფლი და ოქროს ყუთში ჩაკეტეს; ყუთი საფლა-

ვში ჩადგეს და ქვა და მიწა მიყარეს. დასაფლავებას შემდეგ ტროა-
დელები შეიყარენ პრიმის სასახლეში ქელებზე.

გექტორის დასაფლავების ამბით თავდება ილიათა.

ტრიას აღება და მისი დაჭრება.

გექტორის დასაფლავებას შემდეგ მალე ასრულდა მისი წინასწარ-
შეტყველება: ახილესი აპოლონის დახმარებით პარისმა შოკელა, მა-
გრამ მალე თვითონ პარისიც მოკლულ იქნა. ბერძნებმა ძალით
მაინც ვერ აიღეს ტროა. მაშინ ოდისეიმ ქალაქის ასაღებათ ხერხი
მოიგონა. მისი რჩევით გააკეთეს ხის უშველებელი ცხენი, შიგნით
ცარიელი. ცხენის მუცელში დაიმალა თვითონ ოდისეი რამდენიმე
ვმირით. ამას შემდევ ბერძნთა ჯარი ჩაჯდა ხომალდებში და ვი-
თომ სამშობლოში დაბრუნება დაპირა; კოტა მოეფარენ თვალს
და მახლობელ კუნძულთან დაიმალენ. ტროადელები ქალაქის კე-
დლებიდან ხედავდენ რაც ხდებოდა ბერძნების ბანაკში, დაინახეს
ისიც რომ ბერძნები ხომალდებით მოშორდენ ტროას. ხომალდე-
ბი რომ აღარ ჩანდენ, ტროადელები ქალაქიდან გამოვიდენ. ყუ-
რადლებით შინჯავდენ ხის უშველებელ ცხენს და ლიდ ფიქრში
იყვენ, რისთვის დატოვეს ბერძნებშა ეს ცხენიო. ამ დროს ტროა-
დელებმა ამ აღაგას, საცა ბერძნების ბანაკი იყო, დაიჭირეს ხელებ
შეკრული ბერძენი. მაშინვე მიმართეს კითხებით, სად წავიდენ ბერ-
ძნები, რისთვის ააშენეს და დასტოვეს ცხენიო? ბერძენი განგებ იყო
დატოვებული ამხანაგებისაგან, რომ უფრო კარგათ მოეტყუებინა
ტროადელები. ბერძენმაც უაშბო ცეკვა ისე, როგორც დაარიგეს:
„ბერძნები სახლში დაბრუნდენ, იმიტომ რომ ტროას აღების იმედი
დაჰკარგესო. ცხენზე უთხრა, რომ იგი ბერძნებმა ტროას მფარეველ
ღმერთებს მსხვერპლათ დაუტოვეს. ამიტომ, თუ ტროადელებს თა-
ვისი თავის სიკეთე სურა, ცხენი ქალაქში უნდა შეიტანონ“. ტრო-
ადელების უმეტესი ნაწილი მზათ იყო იმწამევე შეესრულებინა ცბი-
ერი ბერძნის რჩევა, მაგრამ ამას წინა აღუდგა ლაოკონი, პოსეი-
დონის ქურუში. „უბედურებო!“ უთხრა იმან: „განა ვერ ამჩნევთ,
რომ მტერს ეს ცხენი თქვენ დასალუპავათ დაუტოვებია? მე, ჩემი
მხრით, ვერ ვენდობი ბერძნებს და ეშიშობ მაშინაც კი, როცა ისი-
ნი საჩუქარს იძლევიან. ნეტავი შემეძლოს იმათი ცეკვას გაგმირეა

ისე, როგორც გაეხვერეთ ამ საათში ამ ცხენსო!“ ამ სიტყვებით და-
სცა შეუბი და ცხენს მუცელი გაუხვერიტა. ცხენის შეგნიდან გამოი-
სმა ხმა, რომელიც იარაღის წკრიალს ჰგვანდა. ტროადელებს უნდო-
დათ მაშინვე შეეტყოთ მიზეზი ხმისა, მაგრამ მათი ყურადღება არა
ჩეელებრივმა და საოცარმა მოელენამ მიიპყრო. ზედის იმ ნაპირი-
დან, საითკენაც ბერძნება წაეიდენ, ამოსცურა თრმა გველმა, რომ-
ლებიც სწრაფათ მიცურდენ ტროადელებთან და თვალის დახამხამე-
ბაზე შემოეხვიდნ ლაოკოონის შეილებს. ლაოკოონი ეცა შეილებს
გამოსახსნელათ, მაგრამ გველები იმასაც შემოეხვიდნ, და იქვე, ტროადელების წინ, ლაოკოონი მისი შეილებით გველებმა დახოცეს.

ტროადელებს თავზარი დაეცათ. გადასწყვიტეს, რომ გველები
გამოგზავნილები იყვენ ღმერთებისაგან, რომელნიც უთუოთ გან-
რისხებულან ბერძნების მიერ შეწირულ საღმრთო ცხენის შეურაცხ-
ყოფისთვისო. ლაოკოონის ცოდეის გამოსაკეთებლათ ტროადელე-
ბმა დიდი ამბით წაიღეს ცხენი ქალაქში. მაგრამ ცხენი ისე დიდი
აღმოჩნდა, რომ კარებში ვერ შეეტია. ტროადელებმა მაშინვე აჰყა-
რეს კარები, ჩამოანგრიეს კედელი და ცხენი შეიტანეს. დადგა თუ
არა ლამე დატოვებულმა ბერძნენა შეატყობინა ბერძნების ხომალ-
დებს, დროა ახლა ტროადელთ დაეცეთო, და ცხენიდან ბერძნები
გამოუშეა.

გმირებმა გააღეს კარები და შემოუშვეს დამალული ჯარები,
ტროადელები კი ამ დროს გულის ძილში იყვენ. ატყდა ტროაიაში
ხოცა-ქლეტა. მცხოვრებლებმა ვეღარ მოასწრეს გამჭლავება, ბერ-
ძნები შეუბრალებლათ ყველას ჰეთიდენ. განსაკუთრებით მდეინვა-
რებდა ახილესის შეილი: დაახრჩა პრიამი ზეესის სამსხევრპლოსთან,
გეპტორის შეილი კოშკიდან გადმოაგდო, ცოლი და ქალი პრიამისა
და გეპტორის ცოლი ანდრომახა ტყვეთ წაასხეს. ტროაია დაიქცა.

ტროაის დანგრევის, აკლების შემდევ ბერძნებთ უფროსები თავ-
თავისი ჯარებით სამშობლოში დაბრუნდენ. ბევრი მათვანი მაკვ-
და: ზოგი გზაში, ზოგი თავის სახლში, მაგ. აკამემნონი. სხვები დიდი
ხნის მგზავრობას შემდევ, როგორც იყო მშეიდობით მივიდენ სა-
ხლში. მენელაი ელენეთი ტროაის დაქცევიდან რვა წელს შემდევ
სპარტაში დაბრუნდა. მაგრამ ყველაზე მეტი თავგადასავალი, ყვე-
ლაზე მეტი შიში და ტანჯვა აღისეიმ გამოიარა. თითქმის ათ წე-

ლიწადს იარა ზღვით, ხან ერთ ქვეყანას მიადგა, ხან შეორეს, სანამ თავის სამშობლო იტაკაში მიეიღოდა. მეათე წლის დამლევს ღმერთი ათინას შემწეობით, როგორც იყო, ისიც დაბრუნდა თავის ქვეყანას.

იმის ამბავი, თუ რა გადახდა მეათე წლის დამლევს სამშობლოს მოშორებულ ოდისეის, რა მოხდა მის ოჯახში იტაკაში; თეთვი იდისეის მოთხოვნა თავის თავგადასავალზე ათი წლის განმაელობაში; ავრეთვე იდისეის დაბრუნების ამბავი — ყველა ეს შეადგენს მეორე ეპოქს, იდისეის შინაარსს.

თ დ ი ს ე ი ა .

0ითქმის ათმა წელმა განვლო ტროიას დაქცევას შემდეგ, მაგრამ იდისეი ჯერ კიდევ სამშობლოში ვერ დაბრუნებულიყო. შეიდი წელი ძალაუნებურათ გაატარა ღმერთა კალიპსოს კუნძულზე, თითქმის მოელი დღე იჯდა კუნძულის კლდიან ნაპირზე და ტიროდა, გასცემროდა იმ მხარეს, საცა იტაკა ეგულებოდა, მაგრამ მისი დაბრუნების დრო ბეჭმა გადაწყვიტა და იგი შორს აღარ იყო.

შეათე წლის დამდევს ტროიას დანგრევას შემდეგ, ოლიმპზე, ზევსის სასახლეში, ღმერთები შეიკრიბენ. არ იყო იქ მხოლოთ პოსეიდონი, რომელიც იდისეის ემტერებოდა. ღმერთა ათინამ, ჰეფისი იდისეის მუდმივმა მფარეველმა, ისარგებლა პოსეიდონის იქ არ დასწრებით, და მიშმართა ზევსს შემდევი სიტყვებით: „მამი! დიდი ხანია გულს მიწყლავს შეი ბეჭი საბრალო იდისეისა. აგრე, რამდენმა ხანმა გაიარა ტროიას დაქცევას შემდევ და ის კი ჯერაც ვერ დაბრუნებულა იტაკაში. ახლა კალიპსოს ძალათი დაუჭირია თავისთან. იმას კი თავის სამშობლოს კვამლის დანახვა ენატრება. ნუ თუ მას არ შეიბრალებ? მოიგონე: იმას ყოველთვის უხვათ მოჰქმნდა შენთვის მსხვერპლი“. ზევსმა ამაზე უპასუხა: „არა, შეიღო, მე არ დამეიწყებია ყველაზე ჰეფისი და გულმოდებინე მსახური ღმერთებისა იდისეი, მაგრამ ხომ იყი; რომ პოსეიდონი იდისეიზე გაჯარებულია, თავისი შეიღოს პოლიფების დაბრმავებისთვის. მაინც, აი, მოვიფიქროთ, მოვახერხოთ რამე, რომ იდისეი სამშობლოში დაბრუნდეს. პოსეიდონი ჩევნ ყველას წინააღმდევ ვერაუერს გახვება“. ღმერთა ათინას რჩევით ზევსმა გერმესა გაგზავნა კალიპსოსთან, რომ იდისეი გაეთავისუფლებინა. კალიპსომ ძალა-უნებურათ შეა-

სრულა ზეესის ბრძანება. კალიპსოს დარიგებით ოდისეიმ გამართა ტიყი ანძით და საჭეთი; შემდეგ ღმერთამ საგზაოთ მოაშჩადა; მისცა ტანისამოსი, საშელ-საჭმელი და წახელის ღროს ამოიყანა მარჯვე ქარი. სიხარულით დაანება თავი ოდისეიმ კალიპსოს კუნძულს და შეერთა თვალ-გაუწვდენელ ზღვას. 17 ღლეს იარა ზღვით, მეთერა-მეტეს დაინახა კუნძული, რომელზედაც ფეაკები ცხავრებდენ: აქ უნდა დასრულებულიყო ოდისეის უგზო-უკვლი მგზავრობა. ამ ღროს: პოსეიდონი, რომელმაც ღმერთების გადაწყვეტილები-სა არაფერი იცოდა, ეთიობთა ქვეყნიდან მოდიოდა. დაინახა ზღვა-ზე ტივი, და მაშინვე იცნო ოდისეი. ზღვის მფლობელი განჩინებდა ღმერთებზე ოდისეის შველისთვის. პოსეიდონმა იცოდა ბედის გა-დაწყვეტილებას წინ ეერ აღუდგებოდა და მალე ოდისეის ველარას ავნებდა. ამიტომ გადასწყეიტა უკანასკნელათ კიდევ მაინც დაეტან-ჯა. დაპერა თავისი სამთითი ზღვას და ყველა მხრიდან ქარები გა-მოიწვია: ასტუდა საშინელი ღელვა, ტალღები მთებივით გორავფენ. ტივი დაიფუშა და ოდისეი ერთ ხეზე და შერჩა.

ორ ღლეს იტვირება ოდისეიმ აღლვებულ ზღვაში. უთუოთ დაილუპებოდა, აქც ღმერთა ათინას რომ არ დაეხსნა განსაკლელი-საგან. მესამე ღლეს ქარი ჩადგა, ზღვა დამშეიდა. ტალღის სიმაღ-ლიდან ოდისეი-ზ ნაპირი დაინახა და იქითკენ გასცურა. მაგრამ აქ ახალი უბედურობა ელოდა: ნაპირი კლდიანი იყო, მას ტა-ლღები გრიალით ეხეიაქებოდენ, რომ მიემართა იქით, უთუოთ და-ილუპებოდა. მაშინ ოდისემ, ათინას ჩაგონებით გამხნევებულმა, გას-ცურა სხვა ნ. პირისკენ, და მალე დაბალი ნაპირიც დაინახა. აქ წყ-ლის შესართავი იყო. ოდისეიმ შეთხოვა ამ წყლის ღმერთს, რომ მოეხედნა წყალობის თვალით და თავის წყალში მიელო. წყლის ღმერთმა ისმინა მისი ლოცვა, დაამშეიდა ზღვის ტალღები და შე-სართავი წყლისა გაუღო. ოდისეიმ შემოიკრიბა უკანასკნელი ღონე და ნაპირს გაეიდა. აქ უგრძნობლათ დაეცა მიწაზე. რამდენიმე ხეს უკან გონს მოვიდა და გასწია ღამის სათევი ალაგის მოსაძებნათ. დაინახა ორი დაბურული ხე ზეთის ხილისა, ქვეშ ხმელი ფოთოლი ბლომათ ეყარა. დალალული და გაყინული ოდისე სიხარულით გა-ხერა ფოთლებში. ათინამ თვალები დაუხუჭა და ოდისეიმ ღრმათ და-იძინა.

ჭრა.

(შემდეგი ეჭნება).

პოპერნიპის ცხოვრება.



სტრონომია არის მეცნიერება, რომელიც ასწავლის ცის მნათობების შესახებ: მზის, მთვარის, ვარსკვლავების და სხვ., და იკვლევს მათს მოძრაობას. ეოველივე, რასაც ჩვენ ვიწავლობთ, მრავალი მეცნიერების დაუღალავი შრომით არის შეძენილი: ამგვარი ჰირებისა ჩვენ ეოველთვის მადლენობის უნდა ვიუოთ, მათი ცხოვრებისა და მოქმედების ვაცნობას უნდა ვცდილობდეთ. ასტრონომიაში ერთი საჟერთესო მეცნიერთაგანი იურიკოლოგი კონკრეტული.

კონკრეტული დაიბადა 1473 წელს, ორ თებერვალს პოუსნიის ქალაქ ტორნში. რა ეროვნებას ეკუთვნოდა, დანამდვილებით არავინ იყის. ზოგის ვამოკვლევით ის იურიგერმანიელი, ზოგი ამტკიცებს, კონკრეტული პოლონელი იურივი. პოლონელები კი დარწმუნებული არიან, რომ კონკრეტული პოლონელი იური და ასეთი მეცნიერით თავი მოაქვთ. კონკრეტულის მამა იური ვაჭარი. პატარა კონკრეტული ჯერ სახლში სწავლობდა, შეძლებ სამუალო სასწავლებელში შევიდა. ათი წლისა იური, როდესაც მამა მოუკვდა და თავისი ბიძის მუხუჭველობის ქვეშ დარჩა. ბიძა მასი ეპისკოპოსი იური; ვანათლებული და ჭიჭიანი კაცი დასწულს სასტიკათ ეპურობოდა, მაგრამ უეგარდა ის და ცდილობდა, რომ მასთვის კარგი განათლება მიეღებინებია. სამუალო სასწავლებლის გათავების შეძლებ კო-

ჰერნიკი უნივერსიტეტში შევიდა. სწავლის წეურვილი ძლიერი ჰქონდა, ის კოველისფერს სწავლობდა, მაგრამ ეველაზე უფრო ასტრონომია შეუევარდა და ამიტომ ამ საგანს მეტ უურადღებას აქცევდა. ოდესაც 1494 წელს კოპერნიკმა უნივერსიტეტს თავი დაანება, ასტრონომია მან საფუძვლიანათ იცოდა, კოპერნიკმა უნივერსიტეტში სამი წელიწადი დაჭერ, რადგანაც არ მოეწონ, სწავლა აღარ გაუგრძელებია, დაანება თავი და გასწაა იტალიაში; შევიდა ბოლონის უნივერსიტეტში და კანონმდებლობის ძესწავლას მიჰეო ხელი; ამავე დროს ასტრონომიასაც სწავლობდა. აქედან კოპერნიკი რომში გადვიდა და უმთავრესი უურადღება ასტრონომიას მიაქცია. მაშინდელი ასტრონომია მას არ მოსწონდა და დაიწო კვლევა, რომ ეს მეცნიერება უტესარ საფუძვლზე დაემუარებია. კოპერნიკს მეცნიერება იმდენათ მეუევარდა, რომ გადაწევიტა, კოველისფრისათვის თავი დაენებება და მთელი სიცოცხლე მეცნიერებისათვის მეეწირა; ამისათვის მეძღება იყო საჭირო. ბევრ ფიქრს მეძღებ კოპერნიკმა გადაწევიტა, ბერათ მესულიერ: მამინ ბერებს დასავლეთ ევროპაში კარგი ჯამაგირი ეძლეოდათ, ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდათ და შეეძლოთ, თუ კი სურდათ, ეს დრო სწავლისათვის მოენდომებიათ. კოპერნიკმა რომიდან სამშობლობი კამოსწაა, ბიძის შემწეობით იშოვნა ბერობა, მალე ითხოვა, სწავლის გაგრძელება მსურს და იტალიაში გამიტუმრეთ რამდენიმე წლითო; კოპერნიკმა ნება მიიღო და გასარებულმა იტალიისაკენ გამოიწია; შეისწავლა კარგათ მართლმსახულება, კანონები და მეძღებ საექიმო მეცნიერების ძესწავლას მიჰეო ხელი. კოპერნიკმა იტალიაში დაჭერათ წელიწადი, შეისწავლა თითქმის კოველ გვარი მეცნიერება, რაც კი იმდროს არსებობდა და 150 წელს

დაბრუნდა სამუდამოათ სამშობლომი. ამ ღროს ის უბე
ოცდა ცამეტი წლის იუ. არც სიძღვიდო, არც სახელი,
არც ღიგება არ იზიდავდა კონკრეტულის; მასი ცხოვრების
მიზანი მეცნიერება იუ. ჯერ ბიძასთან ცხოვრებდა და
ხულ წიგნები არაობდა ღღე-ღამეს; ბიძის სიკვდი-
ლს ბეჭდებ მონასტერში წავიდა და თავის განმარტოებულ
სადგომში შეუდგა უკეთესი ასტრონომიის კვლევას. თავისი
ახალი ასტრონომიული სისტემა მას უკვე ორალიაში
ჰქონდა გამოკვლეული, მაგრამ კონკრეტული არ ჩარობდა
გამოქვეუნებას, მთელი ღამეები აკვირდებოდა ვარსკვლავებს
და იკვლევდა მათ მოძრაობას. კონკრეტულის ღროს არსე-
ბობდა ფრთლომეონის ასტრონომია; ფრთლომეონის ამტკი-
ცებდა, რომ ღედამიწა გაჩერებული იუ, მზე კი მას
უკლიდა ვარშემო. როდესაც კონკრეტული ასტრონომია სა-
უკლიდიანათ შეისწავლა, დარწმუნდა, რომ ფრთლომეონი
შემცდარი იუ, მრავალი დაკვირვებისა და კვლევა-მიების
შემდეგ იმ აზრს დაადგა, რომ ღედამიწა უკლიდა მზეს
გარშემო. როგორც უკვე მოვიხსენეთ კონკრეტული არ აცხა-
დებდა ოვის გამოკვლევას ჯერ ჯერობით, მაგრამ მისმა
მეგობრებმა ვაავრცელეს ხმა მისი ახალი სისტემის შესა-
ხებ. ამ გავონებამ ბევრი მეცნიერი ჩააფიქრა, ბევრმა კი
კონკრეტული საცინათ აიღდო. მწერლობაშიც კი დაუწეულ
მას დაცინვა. ზოგი სულელს უძახდა მას, ზოგი გადა-
რეულს; ზოგი მის გამოკვლევას უკვე არღვევდა, მაშინ-
დელი წიგნებიდან მოჰქეავდა სიტუაცია და გაიძახოდა: მე-
ცნიერება გვიმტკიცებს, რომ ღედამიწა გაჩერებულია, მზე
კი მას გარშემო უკლიდის: ვიღაც სულელი კონკრეტული კი
იურმე ამტკიცებს, ღედამიწა ტრიალებს მზის გარშემოვო.
მიუხედავთ იძისა რომ მეგობრები თხოვდენ კონკრეტუ-
ლაბეჭდე შენი წიგნიო, კონკრეტული უარზე იუ; მსოლოთ

1543 წელს გადაწყვიტა თავისი წიგნის დაბეჭდება. ამავე წელს კოშერნიკი ავათ გახდა; მალე ლოგინათ ჩავარდა და მისი მორჩენა თანდათან საჭირო ხდებოდა. სიკვდილი თითქოს მისი წიგნის დაბეჭდებას უცდიდა: 23 მაისს 1543 წელს კოშერნიკიმა კიდეც მიიღო თავისი ახლათ დაბეჭდილი უკვდავი წიგნი და რამდენისამე საათს შეძლებ გარდა-იცვალა. კოშერნიკის წიგნი შედგება ქვესი ნაწილისაგან; ამ წიგნში ის იკვლევს გარსეკლავების, მთვარის, მზის, დედამიწის მოძრაობას, არღვევს და უარჭეოფს ფტოლომე-ოსის სისტემას და ამტკიცებს, რომ დედამიწა ტრიალებს მზის გარშემო. კოშერნიკის წეალობით დაქს უკელამ ვი-ცით ეს ჭეშმარიტება, მაგრამ კოშერნიკის დროს ხალხი სხვანაირათ ფიქრობდა და შესანიშნავ მეცნიერს ბევრი მოწინააღმდეგი გამოუჩნდა. უმეტესობას კოშერნიკის გამო-კვლევა სისულელეთ მიაჩნდა და მთავრობასაც ეურადღება არ მიუქცევია; როდესაც კოშერნიკის გამოკვლევას გამო-ჩენილი მეცნიერები მიემსრენ, კოშერნიკის წიგნი თან-და-თან გავრცელდა. მაშინ კი აკრძალა მთავრობამ კოშერნი-კის წიგნი, მაგრამ უკვე გვიან იუო; ჭეშმარიტების სინა-თლებ უგუნურების წევდია კი სამედიოთ გაჭვ ნტა. რო-გორც უკვე მოვიხსენეთ კოშერნიკიმა საექიმო მეცნიერებაც შეისწავლა; თავისუფლ დროს ბევრს წამლობდა უსასეი-დლოთ და ბევრი მაშინდელი პირი თავის წერილები კო-შერნიკს ქებით იხსენიებს, როგორც საუკეთესო ექიმს. კო-შერნიკი დასასაფლავებ ფრაუნბურგში. მისმა მდრებმა. გამოა-ცხადეს, მის სიკვდილ შეძლებ, რომ კოშერნიკიმა სიკვდილის წინ უარჭეო თავისი წიგნით, მაგრამ ეს სრული სიცრუე გა-მოდგა. 1829 წელს კოშერნიკის მეკლი აუგეს პოლონეთის უმთავრეს ქალაქ ვარშავაში. მისი მოწინააღმდეგენი ჯე დღე-სასწაულს არ დასწრებიან.



ზ ა რ მ ა ც ი.

Qუთ ერთი სიზარმაცისაგან დარიბ-დატაკი ბერივაცი, რომელსაც ერთი ქალიშვილისა და ერთი „ოთხფეხის“ მეტი არა გააჩნდარა ნახევრათ დანგრეულ ქოხში. სანამ შეილი ქორფა იუთ, კიდევ ცოტ-ცოტას მუშაობდა ბერივაცი და ცარიელი მჭადიო მაინც გამოდიოდენ. მაგრამ რაკი შეილი წამოეზარდა, ბერივაცი სულ გაზარმაცდა. „წამო, ბიძია, ვიმუშაოთო“, — რო დაუმახებდენ მეზობლები, ის არც თვითონ წავიდოდა, არც შეილს გაგზაუნიდა და ასე ეუბნებოდა:

— ვიღასთვის ვიმუშაო, შეილო: საცაა შეილს გავათხოვებ და ოავიდან მოვიმორებ, მაღლია და — გადაიღრმობა; მეც ორი ჰარასკევი წინ აფარ მიძევს, ცალი ფეხი სამარები მიდგია და დღეს თუ ხეზლ საფლავში ჩავუოფ თავსაო!

გავიდა გაზაფხული, ზაფხული, მემოდგომა და დადგა ზამთარი. მაღლი ისევ ცოცხალი იუთ, ქალს არავინ თხოულობდა, ბერივაცი არა კვდებოდა და მუცელი თავისას ითხოვდა. რამდენჯერაც ამოუბერავდა ზამთრის ქარი და კარებს დაბრძანუნებდა, ბერი კაცი ეურებს გამოცემეტდა: აი, ახლა კი ჩემი ქალის მთხოვნელები მოჰიანო,

ან სამუშაოთ მეძახიანო და შვილს უტუოდა: — ადე, გახედე, შვილო, ვინ არიანო! ისიც გაიხედავდა, მაგრამ არავინაც არ იყო! კერც მაღლის სცკვდილს მოესწორო ბერი კაცი, კერც შვილის გათხოვებას და ამასობაში მიმშილით სული ამომქრა!..


თან — ენ კან — ინ.

მელია და კაკაბი.

(არაკი გაგონილი ჯავახეთში).

მელიას მთელი დღე ნაწილი რა არის ჰირში არ ჩაეღო. გამწარებული ხეობისკენ კლდიან დაღმართს დაემჯა და ქვებში მშეირი მიეგდო, იფიქრა: „თუ მოსასკვლელია, თითონ მოვაო“. მართლაც და მელიას ბედზე მთელი გუნდი კავბებისა მოურინდა და მელიას ახლო ქვებში დაემჯა, მელიამ სტაცა ჰინი და ერთი კაკაბი დაიჭირა, მერე თათებში ჩაისვა და ის იურ მეჭმას უპირებდა, მაგრამ კაკაბმა ამ დროს ხმა ამოიღო და უთხრა: „მელიაო, მელიაო, ნუ ხარ ღვთის ურჩი, ხო შენი ღუჟმა ვარ, მე სად წაგივალ, კერ ღმერთს შეევედრე და მერე მემჭამეო“. მელიამ აღაპერო ხელნი ცათამდე და ჰირველი სიტუაციებისა ვერცეკი მთასწორო ეთქვა, კაკაბმა თავს უშველა... დაღონებულმა მელამ მწარეთ მოსთქვა:

„კაკისა მოსატეუარსა
ვაი ვაგლახი მელსაო,
გქონდა მშეირი მუცელი
რაღა დიდება ღმერთსაო“.



ა კ რ თ ს ტ ი ხ ი.

(წარმოდგენილი მ. ლელა შეილისაგან).

თუ კაცი იმას მოკლებულია,
არის ყოველთვის დალონებული;
ეყრენ მოილხენს უიმისობით,
იყოს მდიდარი, თუნდ დიდებული,
სულის მშეიღობა, გულის სიამე,
უფლისაგან გვაქეს მონიჭებული...
ფას დაუდებელს როცა გვარომევენ,
ლუკმა გვაქეს მაშინ გამწარებული.
ერთი იჩაგრის უიმისობით,
ბევრი მინახაეს ატირებული...
ას ღმერთო, ღმერთო, მოჰმადლე შენ ეჩს,
ამყოფე კვალათ გახარებული!..

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი მისგანვე).

ეინც დაიზარაო, არ გაიხარაო.

ურიაშ ფული გასცაო: ვიზედაო? თავის შეილზედაო.

აბილაურის პატრონი ტყეში დაეძებს კუნელსა.

გ ა მ ი ც ა ნ ე ბ ი

(წარმოდგენილი გ. გუნა შეილისაგან.)

ხის ზურგი და ქვის მუცელი,
რეა უქხი და ორი თავი.

ლობეში ხელი გავყავი
შავმა მურიამ მიკინა.

ერთი რამა სულიერი
ფიცხლათ ამღები ფეხისა;
იმას ლაგამს ვერ ამოსდებს
ბიჭი ამ ჩენის ქვეყნისა.

ე პ ი ტ ე ზ ი ს ი.

(წარმოდგენილი სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლე ი. ზედგინიძისაგან.)
კ—ც—ა—ვ—რ—ა. ს—ო—ფ—ლ—ი. უ—ა—უ—ო, დ—ე—ლ—ი.

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი კოდ. გაბიჩეაძისაგან).

პირეველი არის ფრინველი
მსხვილ თაეიანი, დიდ თვალი,
წყვდიად ლამეში თარეშობს
წყრილ ფეხობისა მტარევალი.
მეორე სხვაა, რომელიც,
ჩხრიალით აქაფებული,
ჩამორბის მთილან კორდებზე
წმინდა ანგარათ ქცეული.
მესამით თითქმის ყოველთვის
ძალისა ვუტიებთ ღორებსა,
თითოთ ვუჩენებთ და გვინდა,
რომ დააგლეჯდეს ყურებსა.
სამივე ერთათ ერთ სიტყვათ.
არეულია ცაშია;
მისი წყალობით გემები
ხშირათ ჩანთქულან ზღვაშია.

რ ე ბ ლ ს ი

(წარმოდგენილი გორის სასულ. მოს. გ ნათოძისაგან).



მაღალი და
წერილი სე.



საექიუმილო ნახატებიანი უურნებლი

„ჯ ე ჯ ი ლ ი“

დ ე ლ ი ძ ა დ ი 2 2 1 3 2

გამოვა 1899 წელსაც თვეში ერთხელ იმავე
პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ეურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის
საეპარქიო და კავკასიონის ოლქის სამოსწაელო რჩევები-
საგან სასწაელებლების სამკიონელოებში საკითხა-
ებათ.

ეურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით
ღირს—4 მან. ტუილისს გარეშე გაგზაუნით 5 მან.
ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელისმოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და
ნახევარი წლით.

ხელისმოწერა მიიღება:

1) თვილისში—„წერა-კითხების გამ. საზოგა-
დოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Груз.
Двор. № 101), და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში
(Артиллер. ул. № 5, возвлѣ Кадетского корпуса).

ფოსტის აღრესი: Всѣ Тифлис, вѣ редакцію
грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

